

თბილისის
წიგნის
საერთაშორისო
ფესტივალი

Tbilisi 21
International
Book Fair

სარცავი

- 14 აკადემიური წიგნი
ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
- 15 ბიბლუსი
ბუჟაკაფა
- 16 ბუჟანია
გამომცემლობა „აგორა“
- 17 გამომცემლობა „ალაფი“
გამომცემლობა „არაბა“
- 18 გამომცემლობა „არტანუჯი“
გამომცემლობა „ბაკმი“
- 19 გამომცემლობა „დიოგენე“
გამომცემლობა „ინდიგო“
- 20 გამომცემლობა „ინტელექტი“
გამომცემლობა „კლიო“
- 21 გამომცემლობა „გერიდიანი“
„გამომცემლობა კალიტრა L“
- 22 გამომცემლობა „კეგასი“
გამომცემლობა „კელამოგიკა“
- 23 გამომცემლობა „კოეზია“
გამომცემლობა „საქწიგნი“
- 24 გამომცემლობა „საზანი“
გამომცემლობა „ქართული“
- 25 გამომცემლობა „შავეცხაბა“
გამომცემლობა „შემოქმედი ანგელოზი“
- 26 გამომცემლობა „წიგნები ბათუმში“
გამომცემლობა „წიგნი+ერი“
- 27 ელფის გამომცემლობა
ერუდიტი
- 28 ზაზრა
ი/მ „ირინა დენიკინა“
- 29 ნოდარ დუმბაძის გამომცემლობა და ლიტერატურული სააგენტო
პრემიარი
- 30 სპარტაშორისო სახლი
სადისტრიბუციო კომპანია „ირიათონი“
- 31 სანთა ესკერანსა
საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაცია
- 32 საქართველოს უნივერსიტეტი
სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი

- 33 „ქარჩხაძის გამომცემლობა“
წიგნის მაღაზია „პარნასი“
- 34 წიგნის მაღაზია „შაქრო ბაბუა“
წიგნის მაღაზია „წიგნები ვაკეში“ / ბუქმარკი
- 35 წიგნის საყარო
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო
- 36 აკადედია მასლიმ ესოუსიეიშენ ჯორჯია
გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი
- 37 თსუ წიგნის მაღაზიათა ქსელი Scripta Manent
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა
- 38 ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს კულტურის განყოფილება - საქართველო
კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
- 39 „კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი - კავკასიური სახლი“
ოლგა
- 40 „ვენსილვანიის (ეშუ) საგზაგო კოშკის, ბიბლიისა და ტრექტატების საზოგადოების
ფილიალის საქართველოში
კავკელა
- 41 საჯოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია - SOVLAB
შპს ნაოსტდია
- 42 ჯაოლანდი
„ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიურო“
- 43 FILI – ფინური ლიტერატურის განვითარების ფონდი
KS PRODUCTION
- 44 The Rus Publishing House
კორეის ლიტერატურული თარგმანის ინსტიტუტი (LTI Korea)
- 45 nino.ge
Otava Learning
- 46 readersland.ge
Rights & Brands
- 47 RIPOL Classic Publishing Group
T8 Publishing Technologies
- 48 „ერტი და კრაფტი“
„კოსმომ“ – ხელნაკეთი ნივთები და აქსესუარები
- 49 „ჰარი პოტერის აქსესუარები - ოლივანდარის მაღაზია“
BUERA • ბუარა
- 50 English Book Education
Exlibris Arts & Crafts



საქართველოს წიგნის გამომცემელთა
და გამავრცელებელთა ასოციაცია
GEORGIAN PUBLISHERS AND BOOKSELLERS ASSOCIATION

მისამართი: ი. აბაშიძის ქ. N 16;
თბილისი, საქართველო
ტელ: +995 592 51 83 83
ელ. ფოსტა: info@gpba.ge; dir@gpba.ge
საკონტაქტო პირი: თინათინ ბერიაშვილი
ვებგვერდი: www.gpba.ge

ფესტივალის ორგანიზატორი: საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია

საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია დაარსდა 1998 წელს, 2007 წელს კი გახდა გამომცემელთა მსოფლიო ასოციაციის (IPA) წევრი. დღესდღეობით საქართველოში რეგისტრირებულ წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა დაახლოებით 90 პროცენტი ასოციაციის წევრია. ასოციაცია განსაზღვრავს და იცავს ამ სექტორის ინტერესებსა და საავტორო უფლებებს, უზრუნველყოფს ბეჭდვის თავისუფლებას საგამომცემლო სფეროში. ამ დარგში პირობების გაუმჯობესების მიზნით, ასოციაციამ პროფესიული ეთიკის კოდექსი და კანონმდებლობა შექმნა. უკვე 20 წელიწადია, რაც თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალი საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის ორგანიზებით ყოველწლიურად იმართება და საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული კულტურული ღონისძიებაა. ასოციაცია მუდმივად ახორციელებს და მართავს ისეთ პროექტებსა და ღონისძიებებს, როგორებიცაა თბილისის წიგნის საახალწლო ფესტივალი, წიგნისა და საავტორო უფლებების საერთაშორისო დღე საქართველოში, წიგნის სატაროდ კითხვის მსოფლიო დღე საქართველოში, საქართველოს ეროვნული სტენდი ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე, საქართველოს ეროვნული სტენდი ლონდონის წიგნის ბაზრობაზე, ბიბლიოთეკების გაუჩინებლობა, Books in Print („წიგნები ბეჭდვაში“, www.booksinprint.ge). საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის ორგანიზებით განხორციელდა პროექტი “საქართველო – ფრანკფურტის წიგნის ბაზრობა 2018-ის საპატიო სტუმარი” საგამომცემლო პროგრამა“. ამას გარდა, ასოციაციის ორგანიზებით პერიოდულად იმართება პროფესიული სემინარები და სამუშაო შეხვედრები (ვორქშოფი) ქართველი გამომცემლებისა და გამავრცელებლებისთვის, ადგილობრივი წიგნის ბაზრობები საქართველოს რეგიონებში; ასევე მონაწილეობს სხვადასხვა საერთაშორისო ფესტივალზე. საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის მთავარი მიზანია საქართველოში საგამომცემლო სექტორის განვითარების ხელშეწყობა და წიგნის კითხვის პოპულარიზაცია.

თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალის ისტორია

საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის ორგანიზებით 2019 წელს 30 მაისიდან 2 ივნისის ჩათვლით თბილისის წიგნის მე-20 საერთაშორისო ფესტივალი გაიმართება „ექსპო ჯორჯიას“ მე-3, მე-5, მე-6 და მე-11 და პავილიონებში. თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალი 1998 წლიდან ყოველწლიურად ტარდება და იმ მცირერიცხოვან კულტურულ ღონისძიებათა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთა მიმართ საზოგადოების ინტერესი ყოველწლიურად იზრდება. აღსანიშნავია, რომ ფესტივალის სტუმრების რაოდენობამ ბოლო წლებში 60 ათასს გადააჭარბა. თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალის მიზანი საქართველოში წიგნის კითხვის პოპულარიზაცია, წიგნის ბაზრის რეგიონალიზაცია და საგამომცემლო სექტორის განვითარების ხელშეწყობაა. წლების განმავლობაში თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალი საქართველოში წიგნიერების დონის ამაღლებას წარმატებით ართმევს თავს, რაზეც მიანიშნებს ფესტივალის დამთვალიერებლების, მედიისა და ახალი მონაწილეების მუდმივად მზარდი რაოდენობა. თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალზე ყოველწლიურად მონაწილეობს და წარმოდგენილია როგორც ქართული, ისე უცხოური გამომცემლობები, სხვადასხვა ქვეყნის საელჩოები, სახელმწიფო მუზეუმები და ინსტიტუტები, საერთაშორისო ორგანიზაციები და ფონდები. ფესტივალს წლების განმავლობაში საპატიო სტუმრის სტატუსით ესწრებიან უცხოელი მწერლები. 2019 წელს ფესტივალის საპატიო სტუმრები იქნებიან: თანამედროვე რუსი მწერალი სერგეი ლეხედევი და ავსტრიელი მწერალი რობერტ მენასე;

2019 წლის თბილისის წიგნის XXI საერთაშორისო ფესტივალის ფოკუს ქვეყანა ფინეთი იქნება. ფოკუს ქვეყნის პროგრამა განხორციელდება მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ლიტერატურული ორგანიზაციის, ფინური ლიტერატურის განვითარების ფონდ „ფილის“ (FILI-Finnish Literature Exchange) ორგანიზებით. 2014 წელს ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის საპატიო სტუმარი ქვეყნის პროექტი – „Finland. Cool.“ – სწორედ „ფილის“ ხელმძღვანელობით განხორციელდა და ფინეთი ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის ისტორიაში დღემდე ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ საპატიო სტუმარ ქვეყნად ითვლება. 2019 წელს, აღნიშნული პროექტის 5 წლის თავზე ფინური ლიტერატურის განვითარების ფონდს დაგეგმილი აქვს ღონისძიებების სერია სლოგანით - „ჩაუყარე საძირკველი მომავალს“ („build a structure for the future“). სწორედ ამ ღონისძიებების სერიის ფარგლებში განხორციელდება თბილისის წიგნის XXI საერთაშორისო ფესტივალის ფოკუს ქვეყნის პროექტიც.

ფესტივალის ძირითადი ნაწილი წიგნის ბაზრობაა. მასში მონაწილე გამომცემელთა და წიგნის გამავრცელებელ ორგანიზაციებთან მთავარი მიზანია, სტუმრებს განსაკუთრებული ფასდაკლებით შესთავაზონ წიგნები, დამხმარე მასალა და წიგნის აქსესუარები, ასევე სპეციალური სასაჩუქრე პაკეტები. თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალი აერთიანებს წიგნთან, ლიტერატურასთან, სამწერლო და საგამომცემლო საქმიანობასთან დაკავშირებულ არაერთ აქტივობას - გამომცემელთა მიერ ახალი წიგნებისა და ავტორების წარდგენას, სატარო კითხვას, შეხვედრასა და დისკუსიას ავტორებთან, საპატიო სტუმრის წარდგენას, ლიტერატურულ დაჯილდოებას, პროფესიულ სემინარსა და კონფერენციას.

საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის ორგანიზებით 2019 წლის 30 მაისს, ექსპო ჯორჯიას მე-3 პავილიონში გაიმართება გამომცემელთა კონფერენცია, სადაც სფეროს წარმომადგენლები ქართველი და საერთაშორისო სტუმრების მონაწილეობით იმსჯელებენ საავტორო უფლებების, საგანმანათლებლო გამოწვევების, გამოხატვის და გამოცემის თავისუფლების შესახებ.

ტრადიციულად მე-11 პავილიონში წიგნის მოყვარულთათვის სრულად იქნება წარმოდგენილი საგამომცემლო სექტორი და სხვადასხვა ორგანიზაცია. რაც შეეხება საბავშვო ნაწილს, პატარა დამთვალიერებლებს ფესტივალი წელსაც მე-6 პავილიონში უმასპინძლებს, სადაც საშუალება ექნებათ ერთ სივრცეში დაამთვალიერონ და შეიძინონ საბავშვო წიგნები, ასევე დაესწრონ მათთვის განკუთვნილ ღონისძიებებს და ეწვიონ საგანგებოდ ბავშვებისთვის მოწყობილ გასართობ კუთხეს.

თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში, უკვე მეორედ განხორციელდება პროექტი „მსახიობები ლიტერატურისათვის“. სამი დღის განმავლობაში, 30 მაისიდან 2 ივნისს ჩათვლით, მე-11 პავილიონში წიგნის მოყვარულებს კინოსა და თეატრის 40-მდე ქართველი მსახიობი უმასპინძლებს, წარადგენს წიგნებს და გამართავს სატარო კითხვას.

თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალი წელს კიდევ ერთი სიახლით წარდგება დამთვალიერებლის წინაშე, ექსპო ჯორჯიას მე-5 პავილიონში დამთვალიერებელს დახვდება ქართველი და ლიეტუელი ილუსტრატორების ილუსტრაციების და წიგნების გამოფენა – „ნახატის ენა“. გამოფენა ერთგვარი ანარეკლია ორი ერისა, რომელიც წარმოდგენილია თანამედროვე საბავშვო წიგნებსა და მათ ილუსტრაციებში.

გმადლობთ, რომ სტუმრობთ თბილისის წიგნის XXI საერთაშორისო ფესტივალს!

გამომცემელთა მსოფლიო ასოციაცია თბილისის წიგნის XXI საერთაშორისო ფესტივალზე

გამომცემელთა მსოფლიო ასოციაციის შესახებ

გამომცემელთა მსოფლიო ასოციაცია (IPA) გამომცემელთა ასოციაციების ყველაზე დიდი ფედერაციაა მთელ მსოფლიოში და 69 ქვეყნის 81 წევრს აერთიანებს. გამომცემელთა მსოფლიო ასოციაცია 1896 წელს დაარსდა და იგი ადამიანის უფლებების მანდატით აღჭურვილი პროფესიული საზოგადოებაა. მისი მისია საგამომცემლო სფეროს დაცვა და ხელშეწყობა, ასევე, საგამომცემლო საქმის, როგორც ეკონომიკური, კულტურული და სოციალური განვითარების ძალის შესახებ ცნობიერების ამაღლებაა. ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციასთან (WIPO) და უამრავ სხვა საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციასთან მჭიდრო თანამშრომლობის საშუალებით, გამომცემელთა მსოფლიო ასოციაცია იღწვის წიგნისა და ჟურნალების საგამომცემლო საქმის დასაცავად როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე. გამომცემელთა საერთაშორისო ასოციაცია აქტიურად ეწინააღმდეგება ცენზურას და მხარს უჭერს საავტორო უფლებების დაცვას, გამოცემის თავისუფლებას (მათ შორის, IPA Prix Voltaire-ის საშუალებითაც) და წიგნიერების დონის ამაღლებას მთელი მსოფლიოს მასშტაბით.



ჰიუგო ანდრეას ზეტცერი

ჰიუგო ანდრეას ზეტცერი 1990 წლიდან მოყოლებული მედიცინისა და ფსიქოლოგიის დარგში წამყვანი ესპანურენოვანი გამომცემლობის, *Manual Moderno*-ს, აღმასრულებელი დირექტორია. კომპანიის სათავეს ოფისი მეხიკოშია, ხოლო მისი ფილიალები კოლუმბიის დედაქალაქ ბოგოტაში.

ამჟამად, ზეტცერი გამომცემელთა მსოფლიო ასოციაციის პრეზიდენტია. მანამდე ჰიუგო ზეტცერი 10 წლის განმავლობაში მუშაობდა ასოციაციაში აღმასრულებელი კომიტეტის წევრისა და ვიცე პრეზიდენტის თანამდებობებზე.

ჰიუგო ზეტცერი იყო მექსიკის გამომცემელთა ასოციაციის, სამეცნიერო-ტექნიკური და სამედიცინო გამომცემლების საერთაშორისო ასოციაციის (STM) და [ნამუშევრების] რეპროდუცირების უფლების ორგანიზაციების საერთაშორისო ფედერაციის (IFRRO) აღმასრულებელი საბჭოს წევრი. იგი, ასევე, გახლავთ მექსიკის კოლექტიური მართვის ორგანიზაციის, *CeMPro*-ს დამფუძნებელი თავმჯდომარე.

ჰიუგო ზეტცერი მექსიკოში ცხოვრობს, ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.



ხოსე ბორგინო

ხოსე ბორგინო ასოციაციის გენერალური მდივანი 2015 წლის სექტემბერში გახდა. გამომცემელთა მსოფლიო ასოციაციაში მუშაობა მან 2013 წლის მარტში პოლიტიკის დირექტორის თანამდებობაზე დაიწყო. ხოსე ბორგინო ავსტრალიის გამომცემელთა ასოციაციიდან მოვიდა, სადაც ის დარგის რეპრეზენტაციის მენეჯერად მუშაობდა. მისი პროფესიული გამოცდილება, ასევე, მოიცავს სიდნეის უნივერსიტეტში ჟურნალისტიკისა და შემოქმედებითი დარგების ლექტორის, ელექტრონული ჟურნალის *NewMatilda.com*-ის რედაქტორის, ავტორების ავსტრალიური საზოგადოების აღმასრულებელი დირექტორისა და ავსტრალიის საბჭოს ლიტერატურის განყოფილებაში მმართველ თანამდებობებს.




ვილმარ დიპგრონდი

ვილმარ დიპგრონდი განათლების საერთაშორისო ექსპერტიზა, რომელსაც გერმანიისა და ევროპის საგანმანათლებლო ბაზარზე მუშაობის ხანგრძლივი გამოცდილება აქვს. იგი საგამომცემლო სფეროში უკვე 30 წელზე მეტია მუშაობს, ხოლო ბოლო 15 წლის განმავლობაში *Bildungsverlag EINS*-ის ხელმძღვანელი დირექტორის თანამდებობა უკავია.

დიპგრონდი მანამდე მუშაობდა *Wolters Kluwer*-ისა და *Infinitas Learning*-ის გერმანიის ფილიალის საგანმანათლებლო და იურიდიულ / საგადასახადო განყოფილებებში. იგი იმ მცირერიცხოვან ადამიანთა შორისაა, რომლებიც წარმატებით საქმიანობდნენ როგორც საჯარო კომპანიებში, ასევე, კერძო კომპანიებსა და საოჯახო ბიზნესებში. დიპგრონდი გერმანიის საგანმანათლებლო სფეროს გამომცემლების ასოციაციის საბჭოს ხელმძღვანელი იყო გასულ წლამდე. ამჟამად იგი გამომცემელთა საერთაშორისო ასოციაციის სახელით საგანმანათლებლო სფეროს გამომცემელთა ფორუმის თავმჯდომარეა.

თბილისის წიგნის XXI საერთაშორისო ფესტივალის საკუთარო სტუმრები



რობერტ მენასე

რობერტ მენასე 1954 წელს ვენაში დაიბადა. იგი ავსტრიის ეროვნული ნაკრების ფეხბურთელის ჰანს მენასეს შვილია. საერთაშორისო აღიარება მოიპოვა 2001 წელს რომანით „ჯოჯოხეთიდან გაქცევა“, სადაც ავტობიოგრაფიული თემები და ებრაული წარმომავლობის საკითხი განხილულია კითხვის ქრილში, რამდენად ობიექტურია ისტორია. 1987 წლიდან დღემდე მიღებული აქვს თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ევროპული პრიზი ბელეტრისტიკისა და პუბლიცისტიკის დარგში.

რობერტ მენასეს ყველაზე დიდი წარმატება მოუტანა რომანმა „დედაქალაქი“, რომელმაც 2017 წელს საუკეთესო გერმანულენოვანი წიგნის წოდება მოიპოვა, დაიდგა ციურხში, ვენაში, ესენში და დასაბამი მისცა ინტელექტუალურ დისკუსიას ევროპული იდეის, ევროპის მომავლის შესახებ. აღნიშნულ რომანში რობერტ მენასე ევროპული იდეის დაუღალავ დამცველად გვევლინება. „დედაქალაქი“ ქართულ ენაზე გამოცემლობა „ინტელექტმა“ 2018 წელს გამოსცა და ის გერმანული ენიდან მაია ფანჯიკიძემ თარგმნა.

არანაკლებ ცნობილია ესეისტური პუბლიცისტიკით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი ესეები ევროკავშირისა და გლობალიზაციის თემაზე. მისი დამოკიდებულება ევროპული თემის მიმართ გულისხმობს ცალკეული ეროვნული სახელმწიფოების ძალუფლებისა და გავლენის კრიტიკას ერთი მხრივ და პოსტნაციონალური გაერთიანებული ევროპის იდეის პროპაგანდას მეორე მხრივ. მას იდეალურად მიაჩნია ევროპის რეგიონების გაერთიანებით ევროპული რესპუბლიკის შექმნა.

„შექმენით პოსტნაციონალური ევროპა, აქციეთ ევროპა მსოფლიო პოლიტიკის ავანგარდად“ ამ სიტყვებით მიმართა ავსტრიელმა მწერალმა რობერტ მენასემ 2017 წელს ევროპის პარლამენტს და მოუწოდა მის წევრებს არ დაივიწყონ ევროკავშირის შექმნის მთავარი იდეა, რომელიც ევროპის პოსტნაციონალურ მოწყობაში მდგომარეობდა.



სერგი ლეხედევი

სერგი ლეხედევი დაიბადა მოსკოვში 1981 წელს. თოთხმეტი წლის ასაკიდან რვა სეზონის განმავლობაში მუშაობდა გეოლოგიურ ექსპედიციებში რუსეთის ჩრდილოეთსა და ყაზახეთში. „აგვისტოს ხალხის“ გარდა, არის ავტორი რომანების: „დავიწყების ზღვარი“, „კომეტის წელიწადი“, „ბატი ფრიცი“; 2000-დან 2014 წლამდე მუშაობდა ჟურნალისტად, იყო გაზეთ „პერვოე სენტიანობრის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე. ლექსებს აქვეყნებდა ჟურნალში „ზვებდა“.

სერგი ლეხედევი რომანები თარგმნილია ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, ჩეხურ, იტალიურ, შვედურ, მაკედონიურ, უნგრულ და სხვა ენებზე. 2016 წელს რომანი „დავიწყების ზღვარი“ - Wall Street Journal-ის ვერსიის მიხედვით – ინგლისურ ენაზე თარგმნილ 10 საუკეთესო წიგნს შორის მოხვდა. მისი წიგნების გამომცემელთა შორის არიან New Vessel Press (აშშ), Fischer (გერმანია), Keller (იტალია), Natur & Kultur (შვედეთი) და სხვანი.

გამომცემლობა „შემოქმედი ანგელოზის“ მიერ მომზადებული წიგნი „აგვისტოს ხალხი“ არის სერგი ლეხედევის ნაწარმოების პირველი ქართულენოვანი გამოცემა.

ნობელის პრემიის ლაურეატი ლიტერატურაში სვეტლანა ალექსიევიჩი ასე წერს სერგი ლეხედევის შესახებ: „გამორთეთ ტელევიზორები და კითხვას ჩაუღრმავდით... სერგი ლეხედევი წარსულის კი არა, დღევანდელი დღის შესახებ წერს. წერს იმაზე, რომ ჩვენ ბოლომდე ვერ განვიცადეთ, ვერ გავაცნობიერეთ სტალინის ეპოქა. პერესტროიკა უკვე დავიწყებული და გარდასული დრო გვგონია, სტალინი კი ძველებურად ცოცხალია. 90-იან წლებში ჩვენ ყველანი რომანტიკოსები ვიყავით, ვფიქრობდით, რომ აი, ეს იყო თავისუფლება. მაგრამ არ შეუძლია ადამიანს, მთელი ცხოვრება ბანაკში რომ გაუტარებია, გამოსცდეს ლაგერის ჭიშკარს და მეორე დღესვე გახდეს თავისუფალი. პერესტროიკისა და თავისუფლების ნაცვლად - დაგლეჯილი ქვეყანა, უკრაინელებთან მეომარი რუსები, სტალინისთვის კვლავ დადგმული ძეგლები. ეკლესიებში დიდ რუსეთს ავედრებენ ღმერთს. ეს უკვე სტალინის თაობა კი არა, ამ თაობის შვილებია. დაუსრულებელი და ბნელი კავშირი. ლეხედევის გმირები ეძებენ გზას, ხერხს, როგორ გადაჭრან ეს ჭიპლარი...“

თბილისის წიგნის XXI საერთაშორისო ფესტივალის ფოკუს ქვეყანა – ფინეთი

2019 წლის თბილისის წიგნის XXI საერთაშორისო ფესტივალის ფოკუს ქვეყანა ფინეთი იქნება. ფოკუს ქვეყნის პროგრამა განხორციელდება მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ლიტერატურული ორგანიზაციის, ფინური ლიტერატურის განვითარების ფონდ „ფილის“ (FILI-Finnish Literature Exchange) ორგანიზებით. 2014 წელს ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის საპატიო სტუმარი ქვეყნის პროექტი – „Finland. Cool.“ – სწორედ „ფილის“ ხელმძღვანელობით განხორციელდა და ფინეთი ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის ისტორიაში დღემდე ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ საპატიო სტუმარ ქვეყნად ითვლება. 2019 წელს, აღნიშნული პროექტის 5 წლის თავზე ფინური ლიტერატურის განვითარების ფონდს დაგეგმილი აქვს ღონისძიებების სერია სლოგანით - „ჩაუყარე საძირკველი მომავალს“ (*“build a structure for the future”*). სწორედ ამ ღონისძიებების სერიის ფარგლებში განხორციელდება თბილისის წიგნის XXI საერთაშორისო ფესტივალის ფოკუს ქვეყნის პროექტიც.

30 მაისიდან 2 ივნისის ჩათვლით, თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალის სპეციალური სტუმრები იქნებიან ფინელი მწერალები: ჰენრიკ მეინანდერი, როზა ლიქსომი, ლინდა ბუნდესტამი. ფესტივალის ფარგლებში ფინელი ავტორები გამართავენ შეხვედრებსა და პანელ დისკუსიებს ქართველ მწერლებთან ერთად.

ფინეთის, როგორც თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალის ფოკუს ქვეყნის პროექტის ფარგლებში თბილისს ასევე ეწვევა ერთი-ერთი ყველაზე ცნობილი ფინურ-შვედური გამომცემლობის Forlaget ხელმძღვანელი ფრედრიკ რაჰკა, რომელიც გახლავთ საქართველოში კარგად ცნობილი საბავშვო მწერლის ტუვე იანსონის გამომცემელი და „მუმინ ჩერქთერზის“ (Moomin Characters) საგამომცემლო დირექტორი. ფესტივალის ფარგლებში ფრედრიკ რაჰკა გამართავს შეხვედრას, სადაც ისაუბრებს ტუვე იანსონისა და „მუმინების“ თავგადასავლისა და წარმატების შესახებ.

**FILI – ფინური
ლიტერატურის
განვითარების ფონდი**

მისამართი: საფოსტო ყუთი 259, FI-00171 ჰელსინკი, ფინეთი
ტელ.: +358 40 546 86 45
ელ-ფოსტა: filii@finlit.fi
საკონტაქტო პირი: ტიია სტრანდენი, პეივი ჰაარალა
ვებგვერდი: www.finlit.fi/filii

ფინური ლიტერატურის განვითარების ფონდი, რომელიც 1977 წელს დაარსდა, ხელს უწყობს ფინური ლიტერატურის გავრცელებასა და პოპულარიზაციას ქვეყნის გარეთ. გამომცემლებს ვთავაზობთ გრანტებს ფინურ, ფინურ-შვედურ და საამის ენაზე დაწერილი მხატვრული ლიტერატურის, საბავშვო და მოზარდთა წიგნების, არამხატვრული ლიტერატურის, პოეზიის, კომიქსებისა და გრაფიკული რომანების თარგმნისა და პოპულარიზაციისათვის. ფინური ლიტერატურის განვითარების ფონდი ორგანიზებას უწევს გამომცემლების გაცვლით პროგრამებს ფინეთში, მონაწილეობს საზღვარგარეთ გამომცემლების მიერ მოწყობილ წიგნის ბაზრობებსა და ფესტივალებში და წარმოადგენს ფინურ ენაზე მთარგმნელების მთავარ საყრდენს. ფინური ლიტერატურის განვითარების ფონდს აქვს ფინური ლიტერატურის თარგმანების მონაცემთა ბაზა და აგროვებს ინფორმაციას საზღვარგარეთ გაცემული მთარგმნელობითი უფლებების შესახებ. ფინური ლიტერატურის განვითარების ფონდი ფინური ლიტერატურის საზოგადოებაში შემავალი დეპარტამენტი.

www.facebook.com/FinnishLiteratureExchange
www.instagram.com/filifinnishliterature
twitter.com/FinnishLit



ფრედრიკ რაჰკა

ფრედრიკ რაჰკა Moomin Characters-ის საგამომცემლო ბიზნესის დირექტორია. ის 2015 წელს დაარსებული გამომცემლობა Förlaget-ის ხელმძღვანელი დირექტორიცაა. რაჰკა, ასევე, არის ფინეთში R&B Licensing Oy-ის აღმასრულებელი დირექტორი. ეს ორგანიზაცია პასუხისმგებელია Rights & Brands-ში უცხოური საავტორო უფლებების გაცემაზე. რაჰკა საგამომცემლო სფეროში 2001 წლიდან მუშაობს. მას ორი შვილი ჰყავს და ფინეთში, ესპოოში ცხოვრობს. ფრედრიკს წიგნები უყვარს, რადგან ისინი გვაძულებენ დაგვიქვრდეთ იმაზე, თუ ვინ ვართ და, რაც უფრო მთავარია, ვინ არიან სხვები.



მარი კიიკვიდენი

მარი კიიკვიდენი საგამომცემლო სფეროში 2000 წლიდან საქმიანობს სხვადასხვა თანამდებობაზე. მას, ასევე, დიდი გამოცდილება აქვს უცხო ენების სწავლებაში. საგამომცემლო მენეჯერის კარიერის განმავლობაში, მან, უახლესი მიდგომების გათვალისწინებით, შეიმუშავა თანამედროვე პროდუქტებისა და ციფრული გადაწყვეტების რამდენიმე სერია უცხო ენების სწავლების მიმართულებით. 2016 წლიდან, იგი პასუხისმგებელია უცხო ენების და საერთაშორისო გაყიდვების დეპარტამენტების მართვასა და განვითარებაზე შპს Otava Publishing Company-ში, რომელიც ფინეთის წამყვანი საგამომცემლო კომპანიაა.



ლინდა ბონდესტამი

ლინდა ბონდესტამი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სკანდინავიელი ილუსტრატორია. ის არის ფინლანდია ჯუნიორისა და ასტრიდ ლინდგრენის სახელობის პრემიის, ასევე, ბავშვთა და მოზარდთა ლიტერატურის დარგში ჩრდილოეთის საბჭოს ჯილდოს ლაურეატი. „ცხოველები, ჩვენს გარდა რომ არავის უნახავს“ (2016), რომლის ავტორი ულფ სტარკი, ილუსტრატორი კი ლინდა ბონდესტამი გახლდათ, დასახელდა ბავშვთა და მოზარდთა ლიტერატურის დარგში ჩრდილოეთის საბჭოს ჯილდოს გამარჯვებულად. ბონდესტამის ილუსტრაციები მოხვდა ავგუსტის პრემიის კანდიდატთა შორის. 2016 წელს ბონდესტამი დაჯილდოვდა „თოვლის გუნდას“ პრემიით საუკეთესო ილუსტრირებული წიგნისათვის.



ჰენრიკ მეინანდერი

ჰენრიკ მეინანდერი ჰელსინკის უნივერსიტეტის ისტორიის პროფესორია და ფინეთისა და სკანდინავიის ისტორიის შესახებ მრავალი აღიარებული ნაშრომის ავტორი. მეინანდერი იყო ჰელსინკის მანერჰაიმის მუზეუმის კურატორი და სტოკჰოლმში ფინური ინსტიტუტის ხელმძღვანელი. მეინანდერის წიგნი, ფინეთის ისტორია, 11 ქვეყანაში გამოიცა.



როზა ლიქსომი

როზა ლიქსომი არაორდინალურ გარემოში, კულტურათა ზღვარზე მცხოვრები ადამიანების ექსპერტია. როზა დაიბადა ლაპლანდიაში (ფინეთი) და მისი მშობლები ფერმერები იყვნენ, რომელთა საქმიანობაც ჩრდილოეთის ირმების მოშენება იყო. ლიქსომი ჰელსინკიში საცხოვრებლად 17 წლის ასაკში გადავიდა და მთელი ახალგაზრდობა თავშესაფრის ძიებაში, ევროპის ქვეყნებში მითოვებული შენობიდან შენობამდე ხეტილსა და კომუნალურ საცხოვრებლებში გაატარა. ლიქსომს შეუძლია ადამიანის მთელი ბედისწერა სულ რამდენიმე, მაგრამ ძალიან ზუსტად გათვლილ სიტყვაში მოაქციოს. უნიკალურმა წერის სტილმა ავტორს ფინლანდიის ლიტერატურული პრემია მოუტანა წიგნისათვის „კუპე ნომერი 6.“ მისი წიგნები ნათარგმნია 22 ენაზე. ბოლოდროინდელმა წიგნმა „ევერსტინა“ („პოლკოვნიკის ცოლი“) უკვე დაიმსახურა კრიტიკოსებისა და მკითხველების მოწონება.

როზა ლიქსომი მწერალი, ფოტოგრაფი და რეჟისორია, რომლისთვისაც, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ყველა სახის ხელოვნება ცხოვრების სტილია – უბრალოდ იმიტომ, რომ ასე ძალიან მოსწონს.



აკადემიური წიგნი

მისამართი: ირ. აბაშიძის 16, თბილისი,
საქართველო
ტელ: +995 599 960904
ელ. ფოსტა: acadbookinfo@gmail.com
საკონტაქტო პირი: მაია ღამბაშიძე
ვებ-გვერდი: acad.ge

გამომცემლობა გამოსცემს სამეცნიერო
ლიტერატურას, ხელს უწყობს
ქართული სამეცნიერო ლიტერატურის
პოპულარიზაციას მსოფლიოს მასშტაბით,
ასევე ამზადებს შემეცნებით სამაგიდო
თამაშებს (MAKOTO-ს თამაშები)



ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა

მისამართი: დავით აღმაშენებლის გამზირი N150;
თბილისი, საქართველო
ტელ: +995 322 91 09 54;
+995 322 47 60 18;
+995 591 19 49 50
ელ. ფოსტა: info@sulakauri.ge; Tinak@sulakauri.ge
საკონტაქტო პირი: თინა კუხიანიძე
ვებგვერდი: www.sulakauri.ge

„ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“
დაარსდა 1999 წელს. თავდაპირველად ის
თანამედროვე ქართველი და უცხოელი
მწერლების ნაწარმოებების გამოცემაზე იყო
ორიენტირებული. დროთა განმავლობაში
ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის
საგამომცემლო პრიორიტეტები გაფართოვდა
და პატარა ოჯახური ტიპის გამომცემლობიდან
საქართველოს წამყვან გამომცემლობად
იქცა, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი
შეიტანა ქვეყნის საგამომცემლო საქმიანობის
განვითარებაში. ამჟამად საგამომცემლო
პრიორიტეტებია: თანამედროვე ქართული და
უცხოური პროზა, საბავშვო და საყმაწვილო
ლიტერატურა, საგანმანათლებლო
და დარგობრივი ლიტერატურა.



ბიბლუსი

მისამართი: იოსებოძის N49, თბილისი,
საქართველო
ტელ.: +995 032 248 68 44
ელ. ფოსტა marketing@biblusi.ge
საკონტაქტო პირი: ზურა კვირიკაშვილი
ვებგვერდი: www.biblusi.ge

წიგნის მაღაზიათა ქსელი „ბიბლუსი“ დაარსდა 2008 წლის 23 მაისს. ყველაფერი კი 11 წლის წინ, 2008 წელს ერთი პატარა მაღაზიით დაიწყო თბილისში, იოსებოძის ქუჩაზე. ალბათ მაშინ ვერც ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ეს პატარა მაღაზია წიგნის ყველაზე დიდ ქსელად იქცეოდა საქართველოში. მაშინ წიგნი ყველასთვის ხელმისაწვდომი არ იყო, არც მასშტაბური წიგნის მაღაზიები არსებობდა. მაგრამ იოსებოძის ქუჩაზე არსებულმა პატარა, მყუდრო მაღაზიამ იმდენად ბევრი მკითხველი შემოიკრიბა გარშემო და მოთხოვნა გააჩინა წიგნებზე, რომ მაღაზიის მფლობელმა „ბიბლუსის“ მეორე მაღაზიაც გახსნა, მას მოჰყვა მესამე, მეოთხე და ეს პროცესი დღესაც გრძელდება. დღეისათვის, ბიბლუსი აერთიანებს 60 ფილიალს მთელი ქვეყნის მასშტაბით.



ბუქკაფე

მისამართი: გურამიშვილის გამზირი N 15;
თბილისი, საქართველო
ტელ: +995 599 55 05 54
ელ. ფოსტა: Bookcafe841@gmail.com
საკონტაქტო პირი: ლია შალვაშვილი

საგამომცემლო გაერთიანება Bookcafe დაარსდა 2014 წელს. Bookcafe წიგნის მოყვარულებს სთავაზობს სხვადასხვა ჟანრისა და თემატიკის გამოცემების ფართო სპექტრს, მათ შორის სასკოლო სახელმძღვანელოებსა და დამხმარე საგანმანათლებლო წიგნებს. Bookcafe უზრუნველყოფს მხატვრული და საგანმანათლებლო ლიტერატურის გამოფენა-გაყიდვის ორგანიზებას, რაც ხელს უწყობს წიგნის კითხვის პოპულარიზაციას ჩვენს ქვეყანაში.



ბუქმანია

მისამართი: ე. მაღალაშვილის ქ. N5;
თბილისი, საქართველო
ტელ: +995 592 12 08 15;
+995 597 02 90 34
ელ. ფოსტა: bookmaniadistribution@gmail.com
საკონტაქტო პირი: მარინე ცხადაია; ანა
კვინიკაძე

წიგნების სადისტრიბუციო კომპანია „ბუქმანია“ 2017 წელს დააარსდა. დაარსების დღიდან ორგანიზაცია სხვადასხვა ტიპის წიგნების დისტრიბუციას ახორციელებს. ფესტივალზე კომპანია წარმოგიდგენთ გამომცემლობების „პეგასი“ და „საქართველოს მაცნე“ წიგნებს.



გამომცემლობა „აგორა“

მისამართი: უზნაძის ქ. N 2;
თბილისი, საქართველო
ტელ: +995 555 54 19 00
ელ. ფოსტა: agorageo@hotmail.com;
agoraeka@yahoo.com
საკონტაქტო პირი: მარინა ბალაგაძე;
ეკა ჩაჩხიანი
ვებგვერდი: www.agorabooks.ge

გამომცემლობა „აგორა“ დააარსდა 2006 წელს. მისი საგამომცემლო პრიორიტეტი მხატვრული ლიტერატურის თარგმანები. გამომცემლობა „აგორას“ დღემდე გამოცემული აქვს ორასამდე დასახელების წიგნი. „აგორას“ მიერ გამოცემულია ამერიკელი, ბელგიელი, შვეიცარიელი, იტალიელი, ახალზელანდიელი, კანადელი, თურქი და ყველაზე დიდი რაოდენობით, ფრანგი კლასიკური თუ თანამედროვე მწერლების ნაწარმოებები. ფრანგული კულტურის გავრცელებაში განსაკუთრებული წვლილის შეტანისათვის გამომცემლობა „აგორას“ დირექტორი მარინა ბალაგაძე საფრანგეთის მთავრობამ 2014 წელს დააჯილდოვა ორდენით და მიანიჭა წოდება: ხელოვნებისა და ლიტერატურის ორდენის კავალერი.



გამომცემლობა „ალეფი“

მისამართი: ი. ხვინიას ქ. N 5;
თბილისი საქართველო
ტელ: +995 571 30 12 52
ელ. ფოსტა: aleph.publishing@gmail.com
საკონტაქტო პირი: ბექა სამუკაშვილი
ვებგვერდი: www.facebook.com

გამომცემლობა „ალეფი“ დაარსდა 2013 წელს. ძირითადად, გამოსცემს უცხო ენებიდან თარგმნილ მხატვრულ და სამეცნიერო ლიტერატურას.



გამომცემლობა „არატი“

მისამართი: ჭავჭავაძის გამზირი N 22;
თბილისი, საქართველო
ტელ: +995 322 25 02 55
საკონტაქტო პირი: გიორგი დარსალია

გამომცემლობა „არეტი“ დაარსდა 2003 წელს. მას შემდეგ „არეტეს“ 50-ზე მეტი წიგნი აქვს გამოცემული, მათ შორის მხატვრული, საბავშვო და სამეცნიერო ლიტერატურა. ამჟამად „არეტეს“ საგამომცემლო პრიორიტეტებია: ოთარ ჭილაძის ნაწარმოებების სრული კრებული, მსოფლიო კლასიკური ლიტერატურის თარგმანები სერიით „აუცილებელი საკითხავი“, ჯორჯ მარტინის ეპოპეა „ყინულისა და ცეცხლის სიმღერა“.



**გამომცემლობა
არტანუჯი**

გამომცემლობა „არტანუჯი“

მისამართი: ჭავჭავაძის გამზირი N 5;
თბილისი, საქართველო
ტელ: +995 322 25 05 22
ელ. ფოსტა: info@artanuji.ge
საკონტაქტო პირი: მაია კუდავა
გვებგვერდი: www.artanuji.ge

გამომცემლობა „არტანუჯი“ 2000 წელს დაარსდა. გამომცემლობის ძირითადი მიმართულებაა საისტორიო-სამეცნიერო თემატიკა. საისტორიო მიმართულების პარალელურად, „არტანუჯი“ გამოსცემს მხატვრულ, შემეცნებით, პოლიტიკურ ლიტერატურას, პოპულარულ ადამიანთა ავტობიოგრაფიებს, ლექსიკონებს და სხვ. „არტანუჯი“ ლიდერია ღია ბარათების მრავალფეროვნებისა და ხარისხის თვალსაზრისით.



გამომცემლობა „ბაკმი“

მისამართი: დიდშის მასივი, რობაქიძის
გამზირი N7; თბილისი, საქართველო
ტელ: +995 322 72 54 99;
+995 597 75 65 35
ელ. ფოსტა: bakmipublishing@gmail.com
საკონტაქტო პირი: რუსუდან მოსიძე
გვებგვერდი: www.bakmi.ge

გამომცემლობა „ბაკმი“ შეიქმნა 2000 წელს. ამ ხნის განმავლობაში გამომცემლობამ განახორციელა არაერთი საინტერესო ლიტერატურული პროექტი. ბოლო სამი წელია „ბაკმი“ წარმატებით გამოსცემს ქართულ რარიტეტულ წიგნებს. კერძოდ: „წმინდაი ოთხთავი“, წერეთლისეული „ვეფხისტყაოსანი“, ომარ ხაიამი „რობაიები“ და სხვ. ძირითადი საგამომცემლო მიმართულებებია: ქართული პროზა, საბავშვო და საყმაწვილო წიგნები.



გამომცემლობა „დიოგენე“

მისამართი: ა. აფაქიძის ქ. N 9;
თბილისი, საქართველო
ტელ: +995 322 21 33 21
ელ. ფოსტა: m.khutsishvili@diogene.ge;
adm@diogene.ge
საკონტაქტო პირი: მაია ხუციშვილი
ვებგვერდი: www.diogene.ge

საქართველოს წიგნის გამომცემელთა
და გამავრცელებელთა ასოციაციის
თანადამფუძნებელი და წევრი –
გამომცემლობა „დიოგენე“ დაარსდა
1995 წელს. „დიოგენეს“ საგამომცემლო
პრიორიტეტებია საგანმანათლებლო
და მხატვრული ლიტერატურა.
გამომცემლობა წლიურად დაახლოებით
40 სხვადასხვა დასახელების წიგნს
გამოსცემს.

გამომცემლობა „ინდიგო“

მისამართი: ი. გოგებაშვილის N38, თბილისი,
საქართველო
ტელ: +995 555 57 45 45
ელ.ფოსტა: indigo.magazine.2015@gmail.com
საკონტაქტო პირი: თაკო პაპავა
ვებგვერდი: www.indigo.com.ge

ინდიგო - ახალი დრო. იდეები.
ადამიანები გამომცემლობა ინდიგო
2015 წლიდან გამოსცემს ყოველთვიურ
კულტურულ-საზოგადოებრივ ჟურნალს
– „ინდიგო“. წელიწადში ორჯერ
გამოსცემს ინგლისურენოვან ესეების,
რეპორტაჟებისა და ინტერვიუების
კრებულს. ინდიგოს ავტორობით გამოდის
სეზონური გამოცემაც მოგზაურთათვის -
Adventurer.
2018 წლიდან ინდიგომ დაიწყო
თანამედროვე ლიტერატურის,
ესეისტიკის, ფოტოწიგნებისა და
დოკუმენტური პროზის გამოცემაც.

20/21



**გამომცემლობა
ინტელექტი**



გამომცემლობა „ინტელექტი“

მისამართი: ქაგჭავჭავაძის გამზირი N 5;
თბილისი, საქართველო
ტელ: +995 322 25 05 22
ელ. ფოსტა: intelekti@caucasus.net
საკონტაქტო პირი: კახმეგ კუდავა
ვებგვერდი: www.intelekti.ge

გამომცემლობა „ინტელექტი“ 1994 წელს დაარსდა. ის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური და გამორჩეული ორგანიზაციაა ქართულ კულტურულ-საგანმანათლებლო და საგამომცემლო სივრცეში. სასკოლო სახელმძღვანელოები ქართული და არაქართულენოვანი სკოლებისთვის; კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა; მსოფლიო ლიტერატურის შედეგები და უმნიშვნელოვანესი ავტორები, რომლებსაც პირველად გაეცნო ქართველი მკითხველი; ცნობილი მწერლების დღიურები და ჩანაწერები – ის თემები და პროექტებია, რომლებზეც ოც წელზე მეტია მუშაობს „ინტელექტი“.

გამომცემლობა „კლიო“

მისამართი: აღმაშენებლის გამზირი N 181;
თბილისი, საქართველო
ტელ: +995 322 34 04 30
ელ. ფოსტა: book@klio.ge
საკონტაქტო პირი: ზაზა ხიდურელი

გამომცემლობა დაფუძნდა 2003 წელს. სახელიდან გამომდინარე, „კლიოს“ თავდაპირველი მიმართულება ისტორიული წიგნები გახლდათ. 2008 წლიდან „კლიო“ ჩაება სასკოლო სახელმძღვანელოების მომზადების პროცესში. ამჟამად გამომცემლობის ძირითადი მიმართულებაა არამხატვრული და სასწავლო-დამხმარე ლიტერატურა.



გამომცემლობა „მერიდიანი“

მისამართი: ყაზბეგის გამზირი N 47,
თბილისი, საქართველო
ტელ: +995 322 39 15 22;
+995 599 54 17 07;
+995 599 23 51 78
ელ. ფოსტა: meridiani777@gmail.com
საკონტაქტო პირები: კახაბერ რუსიძე; მარინა
კილაძე

გამომცემლობა „მერიდიანი“ დაფუძნდა
1994 წლის 11 მარტს. საქმიანობის
ძირითადი მიმართულებაა სასწავლო,
სამეცნიერო, შემეცნებითი, მხატვრული
და საბავშვო ლიტერატურის მომზადება
და გამოცემა, ასევე, პერიოდული
ჟურნალ-გაზეთების, ორგანიზაციების
ინდივიდუალური სატიტულო
ფურცლებისა და ფერადი ბლანკების
მომზადება-დაბეჭდვა.

გამომცემლობა „პალიტრა L“

მისამართი: იოსებოძის ქ. N 49,
თბილისი, საქართველო
ტელ: +995 322 38 38 71
ელ. ფოსტა: book@palitra.ge
საკონტაქტო პირი: ნათია ზაქრაძე
ვებგვერდი: www.palitra.ge

„პალიტრა L“ 2005 წელს დაარსდა მისიით,
გაეღრმავებინა წიგნის სიყვარული
საზოგადოებაში, დღეს კი საქართველოში
ერთ-ერთი წარმატებული გამომცემლობაა,
რომელიც წლის განმავლობაში 500-ზე მეტი
დასახელების წიგნს გამოსცემს. მსოფლიო
კლასიკა, თანამედროვე ბესტსელერები,
თინეიჯერული მიმართულება „ლიბერთინსი“,
ბიზნეს ლიტერატურა „ლურჯი ოკეანე“,
ლიტ. კონკურსი „გახდი ბესტსელერის
ავტორი“ წარმატებული პროექტების მცირე
ჩამონათვალია. გამომცემლობა ამყობს, რომ
დიდი წვლილი მიუძღვის ქართული წიგნის
განვითარებაში, საოჯახო ბიბლიოთეკების
შექმნასა და ახალი თაობის წიგნით
დაინტერესებაში.

22/23



გამომცემლობა „პეგასი“

მისამართი: ე. მაღალაშვილის ქ. #5;
თბილისი, საქართველო
ტელ.: 592120815; 597029034
ელ.ფოსტა: bookpegasus@gmail.com
საკონტაქტო პირი: მარინე ცხადაია
ვებგვერდი: <http://pegasus.ge/>

გამომცემლობა „პეგასი“ დაარსდა 2006 წელს. მისი საგამომცემლო პრიორიტეტებია: მხატვრული ლიტერატურა, საბავშვო ლიტერატურა, დოკუმენტური პროზა, შემეცნებითი ლიტერატურა და თარგმანები. გამომცემლობა წიგნებს სერიების სახით გამოსცემს. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია „ილუსტრირებული ბიოგრაფიები“, რომელშიც გავერთიანეთ ქართველი და უცხოელი გამოჩენილი და საინტერესო ადამიანები, საინტერესო ბიოგრაფიებით.



გამომცემლობა „პედაგოგიკა“

მისამართი: ფალაშვილის ქ. N 15;
თბილისი, საქართველო
ტელ: +995 322 25 23 39;
+995 555 52 44 66;
+995 577 40 08 49
ელ. ფოსტა: g.pedagogika@yahoo.com
საკონტაქტო პირი: ირინა რუხაძე
ვებგვერდი: www.pedagogika.ge

გამომცემლობა „პედაგოგიკა“ 1994 წელს დაარსდა და გამოსცემს სასწავლო, მეთოდურ და სამეცნიერო ლიტერატურას. გამომცემლობის აუდიტორიაა სტუდენტები, მოსწავლეები, მათი მშობლები, მასწავლებლები და განათლების სფეროს სპეციალისტები. გამომცემლობის წიგნები შექმნილია მაღალკვალიფიციური ავტორების – საქართველოს წამყვანი უნივერსიტეტების პროფესორებისა და სერტიფიცირებული პედაგოგების მიერ. გამომცემლობა „პედაგოგიკის“ წიგნები პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, გამოირჩევა დახვეწილი დიზაინითა და საუკეთესო პოლიგრაფიული ხარისხით.



გამომცემლობა „პოეზია“

მისამართი: ყიფშიძის ქ. N 2;
თბილისი, საქართველო
ტელ: +995 599 53 78 87
ელ. ფოსტა: nalhazishvili@poeziapress.org
საკონტაქტო პირი: ნატო ალხაზიშვილი

გამომცემლობა „პოეზიას“ პრიორიტეტია ქართული პოეზიის თარგმნა უცხოურ ენებზე და უცხოური პუბლიცისტიკის თარგმნა ქართულად. გამომცემლობის პირველმა წიგნმა – ლინ კოფინის მიერ ინგლისურად თარგმნილმა „ვეფხისტყაოსანმა“ 2016 წელს ქართული ლიტერატურის საუკეთესო თარგმანის ნომინაციაში პრემია „საბა“ დაიმსახურა. ასევე გამოიცა ფ. ქაზემზადეს ისტორიული მონოგრაფია „ბრძოლა ამიერკავკასიისთვის 1917-1921“ და „ვეფხისტყაოსნის“ რჩეული აფორიზმები ქართულ და ინგლისურ ენაზე. 2018 წელს გამოიცა ერიკ ლის წიგნი „ექსპერიმენტი - საქართველოს მივიწყებული რევოლუცია 1918-1921“.

გამომცემლობა „საქნიგნი“

მისამართი: თამარ მეფის გამზირი N 14;
თბილისი, საქართველო
ტელ: +995 322 96 90 70
ელ. ფოსტა: sactsigni@yahoo.com
საკონტაქტო პირი: ლია მეტრეველი

შპს „საქნიგნი“ წიგნის სფეროში 1932 წლიდან მოღვაწეობს. ორგანიზაცია სტაბილურად განაგრძობს განვითარებას. მისი საქმიანობა მოიცავს საგამომცემლო, სავაჭრო და სადისტრიბუციო სფეროებს. ორგანიზაციას აქვს მაღაზიების ქსელი როგორც თბილისში, ისე რეგიონებში.



გამომცემლობა „სეზანი“

მისამართი: წერეთლის გამზირი N 140;
თბილისი, საქართველო
ტელ: +995 322 35 70 02;
+995 599 67 77 56
ელ. ფოსტა: irinacezanne@gmail.com;
mananakartozia@yahoo.com
საკონტაქტო პირი: ირინა შავერდაშვილი

„სეზანი“ სახელოვანი გერმანული ფირმის „ჰაიდელბერგის“ პარტნიორი საწარმოა და ევროპულ ხარისხს ამკვიდრებს ქართულ ბაზარზე. მისი საგამომცემლო ჯგუფი 10 წლის წინათ შეიქმნა და მიზნად ისახავს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანებს, ღირსეული ეროვნული პროდუქციის შექმნას. გგულისხმობთ მასშტაბურ პროექტს „ჩვენ და „ვეფხისტყაოსანი“. საგანგებოდ 2018 წლის ფრანკფურტის ბაზრობისთვის მოვამზადეთ გერმანულ-ქართული გამოცემები. ბავშვებს ორ წიგნად ვთავაზობთ გერმანული მეზღაპრის ვილჰელმ ჰაუფის „პატარა მუკის თავგადასავალს“ და დიდი ქართველი მწერლის სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკებს.

გამომცემლობა „ქართული“

მისამართი: იოსებძის ქ. N 71;
თბილისი, საქართველო
ტელ: +995 591 60 00 59
ელ. ფოსტა: gamomcemloba.qartuli@gmail.com
საკონტაქტო პირი: ზუკა კბილაძე

გამომცემლობა „ქართული“ დაარსდა 2009 წელს. ორგანიზაციის მიზანია ხელი შეუწყოს საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურის განვითარებას. გარდა საბავშვო ლიტერატურისა, „ქართული“ პერიოდულად გამოსცემს მხატვრულ ლიტერატურასა და კულინარიულ გამოცემებს.



გამომცემლობა „შემეცნება“

მისამართი: ა. ანტონოვსკაიას ქ. N 9 ბ;
თბილისი, საქართველო
ტელ: +995 32 260 23 15;
+995 599 550 554
ელ.ფოსტა: info@shemetsneba.ge
საკონტაქტო პირი: ლია შალვაშვილი

გამომცემლობა „შემეცნება“ 2005 წელს დაფუძნდა და უკვე მე-14 წელია კულტურის, განათლებისა და ლიტერატურის სამსახურშია. გამომცემლობის შექმნის იდეა 2004 წელს ფრანკფურტში დაიბადა, როდესაც მისი დამფუძნებელი, დირექტორი, საბავშვო წიგნების, სახელმძღვანელოების ავტორი ლია შალვაშვილი, ვიზიტორის სტატუსით იმყოფებოდა წიგნის ბაზრობაზე. დროთა განმავლობაში გამომცემლობა „შემეცნება“ გაფართოვდა. ამჟამად ძირითადი საგამომცემლო პრიორიტეტებია: საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურა, კლასიკური, თანამედროვე პროზა და პოეზია, სასკოლო სახელმძღვანელოები, საგანმანათლებლო დანიშნულების თვალსაჩინოებები და დიდაქტიკური მასალები.

გამომცემლობა „შემოქმედი ანგელოზი“

მისამართი: რუსთავი, მე-7 მიკრ., N 26/43;
რუსთავი, საქართველო
ტელ: +995 599 58 42 49
ელ. ფოსტა: info@angelread.com
ერთ მშვენიერ ზაფხულს, როდესაც ბებიჩემს ვესტუმრე სოფლად, მაკრატელი ვთხოვე ფერადი ფურცლების გამოსატრელად. მაშინ შვიდი ან რვა წლის თუ ვიქნებოდი. ბებიჩემი უსინათლო იყო და ლეიბის ქვეშ ინახავდა ნივთებს, რომელი ნივთებიც, იცოდა, აუცილებლად დასჭირდებოდა. ასე, მარტივად აღმოაჩენდა მათ, ყოველგვარი ზედმეტი ძალისხმევის გარეშე. მაკრატლის ძიებაში ლეიბის ქვეშ სხვა ნივთებსაც წავაწყდი, მათ შორის, ფოტოს, რომელზედაც პატარა ბებიჩემი დედასთან და მამიდასთან ერთად ხის ჩრდილში იდგა. თავიდან გამიკვირდა, როგორ შეიძლება, ლეიბის ქვეშ რაიმე მოათავსო - მეთქი, მაგრამ მერე გავაცნობიერე, ლეიბის ქვეშ ჩვენი ბებიები და ბაბუები ისეთ რამეებს ინახავდნენ, რაც სურდათ, არასდროს დაეკარგათ და დაევიწყებინათ, მაშინაც კი, თუ ამ რაღაცას ვერ ხედავდნენ.

ეს წერილი არ არის ლეიბის ქვეშ შენახულ ნივთებზე, არც ბებიჩემზე, რომელიც, რასაკვირველია, ძალიან მიყვარდა.

წიგნზე მინდა გიამბოთ, რომელსაც ასე ჰქვია „შენს წერილებს ლეიბის ქვეშ ვინახავ“. ეპისტოლარული ჟანრის ამ ლიტერატურაში ადრესატი ყველასათვის უსაყვარლესი შვედი მწერალი ასტრიდ ლინდგრენია, ქალი, რომელმაც გასაოცარი სამყარო შექმნა ბავშვებისთვის და არამხოლოდ.

როგორი წერილები არ უნახავს ლიტერატურას, ლამაზი ბავშვებით გამოკრული, სურნელოვანი ეთერზეთებით გაჯერებული, გაკრული ხელით თუ პირიქით, დინჯად შესრულებული. წერილები, რომელშიაც სიყვარულში უტყდებიან ერთმანეთს, წერილები, რომელშიც ტოვებენ, წერილები, რომელშიც დაბრუნებას ითხოვენ. მაგრამ ეს ყველასგან განსხვავებული წერილებია. სხვა თუ

არაფერი, ის ხომ ლეიბის ქვეშ ჰქონდა შენახული სარა შვარცს და მისი ცხოვრების თანამგზავრი და მრჩეველი გახდა. დიას, ადრესანტი სწორედ ეს თორმეტი წლის გოგონა იყო, რომელმაც გაბედა და საკმაოდ თამამი წერილი მისწერა საყვარელ მწერალს.

წარმოვიდგინე, ყველაფერი რომ დღეს ხდებოდეს, დღეს რომ საშუალება გექონდეს ცოცხალ ასტრიდთან ურთიერთობის, როგორ მოვიქცეოდით? დიდი მონდომებით მოვძებნიდით ასტრიდს სოციალურ ქსელში, თვალს გადავავლებდით მის ყველააქტივობას, გავხსნიდით „ჩათს“ და მოუთმენლად დაველოდებოდით პასუხს წერილზე, რომელიც ასე იწყება: „ძვირფასო ასტრიდ!“.

ასტრიდიც გვიპასუხებდა, აუცილებლად გვიპასუხებდა. ისე, როგორც ყველა ბავშვს, რომელიც მას წერილს უგზავნიდა. უამრავი ბავშვიდან ასტრიდის ცხოვრებაში სწორედ სარა შვარცი შეიჭრა რაღაცენაირად გამორჩეულად. 1971 წლიდან 2002 წლამდე მოყოლებული (ასტრიდის გარდაცვალებამდე) მათი ორმოცამდე წერილი არაერთ ამაღელვებელ ისტორიას იტევს... იგი თანაბარმნიშვნელოვნად იპყრობს, როგორც შვილების, ასევე დედებისა და ბებიების თაობის ყურადღებას.

მთავარი სათქმელი ყოველთვის სტრიქონებს შორის იმალება, ერთი სიტყვიდან მეორე სიტყვამდე. ადამიანს დიდი ძალისხმევა სჭირდება სწორად ჩაწვდეს აზრს და გაითავისოს. ასე წერდა ასტრიდიც პასუხებს სარას. ფაქიზად არჩევდა თითოეულ სიტყვას, რათა თინიჯერული სადარდებლით გზააბნეული გოგონასთვის დახმარების ხელი გაეწოდებინა და „მორალისტი“ კი არა, მისი მეგობარი გამხდარიყო. თავად ასტრიდმაც ხომ საკმაოდ რთული გზა განვლო. ვის თუ არა ასტრიდს, სხვას

ვის უნდა გაეგო გოგონასთვის, რომელიც მსახიობობაზე აუსრულებლად ოცნებობდა, ვინც, საკუთარ თავს მახინჯ ბავშვად მიიჩნევდა, ვისაც მშობლებთან დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა და ვინც მოზარდობის ასაკში გაუპატიურების მსხვერპლი გახდა?

ერთ-ერთ წერილში ასტრიდი აღნიშნავს კიდევ, რომ სარა განსაკუთრებულად თავისიანად მიიღო. იქნებ იმიტომ, რომ ისინი რაღაცით ჰგავდნენ კიდევ ერთმანეთს. იქნებ იმიტომ, რომ ორივეს ცხოვრება ერთ დიდ ბოზოქარ თავგადასავალს წარმოადგენდა.

ასტრიდ ანა ემილია პატარა ქალაქში იზრდებოდა, იგი იმ ქალაქში პირველი გოგონა იყო, რომელმაც თმა სულ მოკლედ, ბიჭურად შეიჭრა. ამ ფაქტმა თანაქალაქელების აჟიოტაჟიც კი გამოიწვია. 16 წლის ასაკში მან ადგილობრივ გაზეთში დაიწყო მუშაობა, აქ შეხვდა რეინოლდს, თავისზე გაცილებით უფროს მამაკაცს. ორიოდ წელში ასტრიდი მისგან დაფხვნილიყო. რეინოლდს უკვე ჰყავდა შვიდი შვილი და ცოლი, რომელთანაც განქორწინების საკითხებს აგვარებდა. მომავალ მწერალს სკანდალებისგან თავის არიდების მიზნით სტოკჰოლმში მოუწია გადასვლა. მატერიალური ხელმოკლეობის გამო, იძულებული გახდა გაჩენისთანავე გაეგზავნა ვაჟი, ლარსი, დანიურ ოჯახში გასაზრდელად.

ასტრიდი ძალიან განიცდიდა ამ ამბავს, სულ წუხდა... შვილის სანახავად ჩადიოდა ხოლმე, მაგრამ ეს არ უვსებდა არსებულ სიცარიელეს.

1928 წელს ასტრიდ ერიკსონმა სამეფო ავტოკლუბში მდივნად დაიწყო მუშაობა. მისი უფროსი სტურე ლინდგრენი იყო. ამბობენ, სტურეს ისე შეუყვარდა ასტრიდი, მის გამო ცოლი მიატოვა. 1931 წელს ასტრი-

დი სტურეზე დაქორწინდა და თავისი ბიჭუნა ლარსი უკან დაიბრუნა. ამ ქორწინებასაც სდევდა თან სკანდალი და მითქმა-მოთქმა. მოკლედ რომ ვთქვათ, ასტრიდის პირადი ცხოვრება ნამდვილად არ გამოირჩეოდა სიმშვიდით.

იქნებ მართალია და განსაცდელი მართლა ანიჭებს ადამიანს განუსაზღვრელ ძალას? ისეთს, რომ ერთხელაც შენს მითს წერ და ასტრიდი ხდება.

ამ წიგნში კიდევ ერთხელ გაიცნობთ ასტრიდ ლინდგრენს, როგორც გულწრფელობით, სილაღითა და სიკეთით სავსე მწერალს, ერთ მისთვის უცნობ გოგონას ცხოვრების ყველაზე რთულ პერიოდში უანგარო სიყვარულს რომ ანახებს.

რამდენ მშობელს, რამდენ მასწავლებელს დაეხმარება ეს წიგნი გახდეს ასტრიდი და ამოიცნოს გარშემომყოფი ახალგაზრდების სურვილები, ფიქრები, განცდები, ტკივილები. რომ იმ მოზარდში, რომელიც სკოლას აცდენს, იგვიანებს გაკვეთილებზე, ჩადის ათასგვარ სისულელეს, გარბის სახლიდან, იმალება ადამიანი, საკუთარი სიმძიმეებითა და სიმსუბუქით და მას ერთადერთი რაც სჭირდება არის, იგრძნოს სიყვარული და სიბო. რამდენი მათგანი ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ, დაფიქრდება და საკუთარ თავს ჩაეკითხება: “რა შემიძლია ახალგაზრდის ცხოვრების უკეთესობისკენ შესაცვლელად?”

„უცნაურია, რომ მშობლებისა და ბავშვების ურთიერთობა ხშირად ადამიანების მთელ ცხოვრებას განსაზღვრავს.“ – წერს ასტრიდი სარას, რომელსაც ის პრობლემები აწუხებს, რაც ნებისმიერ თანამედროვე თინეიჯერს შეიძლება აწუხებდეს. სარა შვარტიცი მანაც შეიძლება მოწიოს სიგარეტი, ალკოჰოლით გაიჭყიპოს რომელიმე წვეულებაზე, ვერ გაუგოს

მშობელს და ჰო, სამწუხაროდ, გახდეს ძალადობის მსხვერპლიც.

თუკი ასტრიდის წიგნები ბავშვობაში სინათლით ავსებდა ჩვენს ყოველდღიურობას, ახლა ამ წიგნში თავმოყრილი წერილები, განსაკუთრებულად, თინეიჯერების მეგზური გახდება. უფროსებს კი, კიდევ ერთხელ დაგვეხმარება, გავაანალიზოთ, ურთიერთობებს ასაკი არ აქვს და მოზარდის უკან იმალება ადამიანი, რომელიც ჩვენგან ითხოვს ისე მოეპყრან, როგორც ზრდასრულს.

ადრესანტი და ადრესატი რეალურ ცხოვრებაში ერთმანეთს არასოდეს შეხვედრილან.

უკანასკნელი წერილი სარა შვარტმა 2002 წელს გაგზავნა. ასტრიდს პასუხი არ გაუცია. იგი ხომ სწორედ ამ წელს, 94 წლის ასაკში, საკუთარ სახლში ძილში გარდაიცვალა.


„შენს წერილებს ლეიბის ქვეშ ვინახავ“ 2012 წელს გამოვიდა. წიგნი ქართულად 2018 წელს გამომცემლობა „ინტელექტმა“ გამოსცა. თარგმნა ლიკა ჩაფიძემ. ორიოდე სიტყვას თარგმანზეც ვიტყვი. მთარგმნელი ცდილობს ზუსტად შეინარჩუნოს ის ენა, რომელიც 12 წლის მოზარდის მეტყველებას უკვე ჩამოყალიბებული მწერლის მეტყველებისაგან განასხვავებს. ეს კი მკითხველს ეხმარება აღიქვას წიგნი, როგორც, ერთი მხრივ, ადრესანტისა და, მეორე მხრივ, ადრესატის ურთიერთობის შედეგად გადმოცემული ამბავი.

„ტრარალანლალანლი“ მკითხველზე, თქვენთვის ლეიბის ქვეშ წერილებია პატარა სარასგან და დიდი ასტრიდისგან. წერილები, რომლებიც არ უნდა დაკარგოთ და დაივიწყოთ.

მიაკითხეთ...

ფრთხილად გახსენით და წაიკითხეთ...

წინ დიდი სიამოვნება გელოდებათ.



ბანებ უელსი

შუშის სასახლე

მთარბმნელი:
ნინო ბარძიშიშვილი

გამომცემლობა
„წიგნები ბათუმში“

*“The best thing you could’ve given her was
a lifetime of adventures” –
Alice in Wonderland.*

ყველა ჩვენი ისტორიებიდან მოვდივართ. ისტორიებიდან, რომლებიც, ჩვენს ცხოვრებას აყალიბებს. ზოგიერთი ჩვენგანი ჯიუტად ცუდ ამბებს ჰყვება მუდამ, მაშინ როცა სხვებს მხოლოდ კარგი დროება აქვთ გასახსენებელი, ზოგიც წარსულის გარომანტიკულებას ახდენს. სადავოა, რომელ ნაწილში ექცევა ჯანეტ უოლსის ამბავი, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ მისი ცხოვრების ისტორია 31 ენაზე თარგმნილი ბესტსელერისა და ამავე სახელწოდების ძალიან ცნობილი ფილმის საფუძველი გახდა.

ჯანეტის მეშუარები მის ბავშვობას აღწერს მშობლებთან, რომელთაც თავისუფლება და დამოუკიდებლობა ყოველთვის შეილები გამოკვებაზე მეტად ადარდებდათ.

ამ წიგნზე მოსაზრებები აუცილებლად გაიყოფა. ზოგისთვის უოლსების ოჯახის ისტორია ჯოჯოხეთი იქნება, მძაფრი შეგრძნებების მოყვარულთათვის კი – ამაღელვებელი თავგადასავლებით სავსე ამბავი. გვერდით ჩავლილი ადამიანებისთვის უოლსები არაფრით გამოირჩევიან სხვა ათასობით უსახლკაროსგან, თუმცა მათი ცხოვრება დაუსრულებელი თავგადასავალია. აკი აღნიშნავს კიდევ ჯანეტის დედა – როზმარი, მამათქვენთან ცხოვრება მოსაწყენი არასდროს ყოფილაო. ვერც იქნებოდა, რექსი ხომ სხვა მამებისგან განსხვავებით ვარსკვლავებს ჩუქნიდა შვილებს.

სიუჟეტის განვითარებასთან ერთად პერსონაჟებისგან დამაფიქრებელ კითხვებს ვაწყდებით და მხოლოდ მათზე ფიქრი თუ მოგწყვეტს კითხვის პროცესს. ერთხელაც უოლსების უფროსი გოგონა – ლორი კითხულობს როდის შეგიძლია თქვა, რომ სადმე გიცხოვრია, „თუ რომელიმე ქალაქში ღამეს გაათევ, ნიშნავს, რომ იცხოვრე იქ? თუ ორ ღამეს რომ გაათევ? თუ ორი კვირით რომ დარჩები?“. როზმარიც ხშირად აუღერებს საინტერესო აზრებს, რომ დამნაშავედ არავინ იბადება, რომ ყველაში უნდა აღმოაჩინოთ ცუდის საპირწონედ კარგი თვისება და ადამიანი მის გამო შეიყვაროთ.

ალბათ სწორედ ასე უნდა მივუდგეთ ჯანეტის მამასაც. რექსი გამოუსწორებელი ლოთია, რომელიც ღამის მთელ შემოსავალს სასმელსა და სიგარეტში ხარჯავს. თუ როგორ აღწერს მწერალი მამამისის პერსონას, კიდევ ერთხელ გვახსენებს, რომ ცხოვრება მხოლოდ თეთრ და შავ ფერებად არ იყოფა და სწორედ პერსონაჟების ამბივალენტურობა ართულებს რომანის გვერდით გადადებას. რექსის მთელი ცხოვრება ყველაფერ იმის წინააღმდეგ წასვლაა, რასაც საზოგადოების სახით ვიცნობთ. მას შეუძლია სხაპასხუპით მოჰყვეს ვრცელი ზღაპრები სამსახურებზე, რომლებიც არასოდეს ჰქონია და უმაღლესი სასწავლებლების დიპლომებზე, რომლებიც არასდროს აუღია. თუმცა სამსახურს

ვერასოდეს ინარჩუნებს და შვილებს თავს უკეთესი მომავლის იმედებით და ოცნებებით უტენის. იქამდეც კი მიდის, რომ სათაურში ნახსენები შუშის სასახლის გეგმას ხაზავს. რექსსაც თითოეული ჩვენგანივით თავისი დემონები ჰყავს, თუმცა მათთან ბრძოლის ნაცვლად უკიდევანო ოცნებებშია გადაშვებული და რეალობას თვალს ვერ უსწორებს. მორალურ სიცხადესა და კეთილშობილებას ასე დაშორებული ადამიანი ალბათ იშვიათად თუ შეგვხვდება, მაგრამ სწორედ მას შეუძლია ჯანეტში სილამაზე მაშინაც კი შეამჩნიოს, როცა თავად მისი ქალიშვილი ამას ვერ ახერხებს.

როზმარის ქმარზე კიდევ უფრო მცირე რაოდენობით აქვს მშობლის ინსტინქტები, მაგრამ კლდიდან წყალში თავით ხტება, უდაბნოში ხტავს და ხმამაღლა კითხულობს შექსპირს. ლორის არ სჭირდება სამყაროში ალიაქოთი და მხოლოდ სულელური პატარა სტიპენდია უნდა.

ბრაიანი შინ ეკლებით დაკაწრული სახითა და მკლავებით ბრუნდება და მადლობისა და ქება-დიდების მოლოდინის გარეშე ამატებს ფულს დების ყულაბაში.

თავად ჯანეტს კი სურს მაჯის საათი ჰქონდეს იმ ადამიანებივით, რომლებსაც შეხვედრებზე ეჩქარებათ. ბავშვებმა ისწავლეს, როგორ ეზრუნათ საკუთარ თავებსა და ერთმანეთზე, მაგრამ ვერ გაუფრთხილდნენ მათ შორის ყველაზე სუსტს. უმცროსი გოგონა მაურინი – სითეთრემდე ქერა აბრეშუმით თმისა და უამრავი წარმოსახვითი მეგობრის პატრონი დედამამშვილებსაგან განსხვავებით, სულ ეძებდა ვიდაცას, ვინც მასზე იზრუნებდა და ყოველთვის პოულობდა ვინმეს, ვისაც მისთვის ხელის გაწვდენის სურვილი ჰქონდა.

თუ მცირე ემპათია და თანაგრძნობის უნარი მაინც გააგჩნიათ, ეს წიგნი განრისხებამდე, მძვინვარებამდე, დაუოკებელ რისხვამდე მიგიყვანთ და ამავდროულად, განცვიფრებულს დაგტოვებთ, როგორ გადაურჩნენ ბავშვები აღწერილ ბნელ ყოფას. ამაზე ფიქრისას კუნდერა გამახსენდა, რომელიც „ყოფის აუტანელ სიმსუბუქეში“ ერთ-ერთ პერსონაჟზე ამბობს, რომ „გოგოს, რომელიც „რალაც ამადლებულს“ ესწრაფვის, ამის ნაცვლად კი ლოთებისთვის ლუდის მიტანა და და-ძმის ჭუჭყიანი სარეცხის რეცხვა უხდება, ცხოვრებისეული ძალების უზარმაზარი მარაგი უგროვდება, რომლის მსგავსიც არ დასიზმრებიათ უნივერსიტეტის სტუდენტებს, რომლებსაც წიგნებზე ეძინებათ ხოლმე.“ ჯანეტმა და მისმა და-ძმამ ცხოვრებაზე იმდენი რამ ისწავლეს, ეს ბუნებრივს ხდის მათ გამოღწევას საშინელი ბავშვობიდან.

ავტორი ისე წერს მის მიერ განვლილ ჯოჯოხეთზე, რომ არსად იგრძნობა საკუთარი თავის სიბრაღული. არასდროს განსჯის მშობლებს, უბრალოდ ყვება იმას, რაც იყო. შუშის სასახლის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ასპექტია, რომ ავტორი ახერხებს უნიკალური გამოცდილების ხალხთან ისე მიტანას, რომ მკითხველმა საკუთარ ცხოვრებასთან პარალელი გაავლოს მიუხედავად იმისა, რომ ნაგავსაყრელზე საჭმელი არასდროს უძებნია.


წიგნს თან იუმორის ტონალობა და განწყობა სდევს. შესაძლოა იმიტომ, რომ ჯანეტი ბავშვობაში მდგომარეობის სიმძიმეს ვერ აცნობიერებს. მაშინ როცა ყველა ბავშვი ერთნაირად გაჩინკული და გარუჯულია. მათთვის მთავარია, ვინ დარბის სწრაფად და ვისი მამა არ არის ქალაჩუნა. „როგორ გგონია, იქნებ შეგეძლოს, აღარ დალიო?“ – მაგრამ მამისათვის დასმული ეს კითხვა რეალობასთან

შემზარავი სიცხადით გაბრუნებს, დასასრულისკენ რექსის სიტყვები კი – “ხანდახან კარგი დრო მაინც გვითარება, არა?”, მკითხველს ფიზიკურ ტკივილს ჰგვრის. აუტანელი სიმწრითა და მთელი სიმძაფრით გრძნობ, მათი ცხოვრების ფონზე რა უმნიშვნელოა ჯანეტისთვის უცნობი სახელები სტენლი კუბრიკი და ვუდი ალენი, რომელთაც საღამოობით უდარდელად განვიხილავთ.

გარეკანისთვის ალბათ იდეალური სურათია არჩეული – როზმარიმ ფანჯრებზე ვიტრაჟის ეფექტის შესაქმნელად ფერადი ბოთლები ჩაამწკრივა – რაც თითქოს სიმბოლოა, როგორ აფერადებდნენ უოლსები შვილების ბავშვობას გამოგონილი ამბებით, თუმცა ერთხელაც ახალი ამბების სააგენტოდან მოწოდებული ამბების შედეგად ჯანეტი იგებს, რომ დედა და მამა მოვლენათა დამახინჯებულ ვერსიებს უყვებიან და სამყაროც უფრო გასაგები ხდება. შეამჩნევს, როგორ არის ქვეყნიერებას მოწყვეტილი და დაეციებული ქალაქი, რომელშიც ცხოვრობენ და ძალაუფლებურად მათ ცხოვრებასთან პარალელს ავლებ.

იდეალურად არის არჩეული სათაურიც. შუშის სასახლე გრანდიოზული დაპირებების სიმბოლოა, რომელიც რექსმა ამ დაპირებების მსგავსად, ნამსხვრევებად აქცია.

წიგნი კიდევ ერთხელ გვახსენებს, ბავშვების გადმოსახედიდან დანახული რეალობა ზრდასრულების თვალით დანახულისაგან რამდენად განსხვავდება და რაც უფრო უახლოვდება წიგნი დასასრულს, უფრო და უფრო ნათლად და მკაფიოდ იკვეთება, ავტორის დამოკიდებულებისა და შეხედულებების ცვლილება. გაზრდასთან ერთად, ჯანეტის წარმოსახვა და იმედები შუშის სასახლეზე თანდათან იმსხვრევა.



ლიან მორიარტი

დიდი კაცარა ტყუილები

**მთარგმნელი:
მარიამ კორინთელი**

**გამომცემლობა
„წიგნები ბათუმში“**

ყოველთვის მინდოდა ამ სიტყვების დახმარებით დამეწერა აქტუალურ და მტკინვეულ თემაზე, ძალადობაზე, რომელიც ყველასგან გამორჩეული პერიოდის, XXI საუკუნის, მთავარი ამოცანაა. ფიზიკურად უხეშმა მოპყრობამ და სიტყვიერად მორალური ზიანის მიყენებამ შესაძლოა ადამიანი რადიკალურად გადაასხვაფეროს, წარმოდგენები შეუცვალოს, ფსიქიკა შეურყიოს და გააბოროტოს. საუბედუროდ, ისინი, რომლებიც ძალადობენ, ვერ აცნობიერებენ თუ რა ტრამვას აყენებენ სხვებს. მოძალადეები მსხვერპლს უნგრევენ ცხოვრებას და უმრავლესობა ამით კმაყოფილდება კიდევ... გაუმართლებელია ასეთი ამოუხსნელი საეჭივლი!

ლიან მორიარტის, ავსტრალიელი მწერლის, გახმაურებული რომანი ზემოაღნიშნულის ნათელი მაგალითია.

წიგნში მოთხრობილია პირივს ნახევარკუნძულზე დასახლებული რამდენიმე, ერთმანეთისგან განსხვავებული ოჯახის შესახებ, რომელთა ცხოვრებაშიც ავტორმა საინტერესო შტრიხები შეიტანა და ამის დახმარებით თითოეულ პერსონაჟს განსაკუთრებული ელფერი მიენიჭა.

ჯეინი, ახალგაზრდა მარტონელა დედა, გაექცა იმ მტკინვეულ მოვლენას, რომელმაც მთელ მის ცხოვრებას დაღი დაასვა. გონებით იბრძოდა, არ ყრიდა ფარ-ხმალს, მაგრამ ეტყობოდა, რომ გული გაბზარული, ალაგ-ალაგ დაღურჯებული და დასაფშვნილად გამზადებული ჰქონდა.

საქსონ ბენკსი - ამ სახელს ამოფარებულია ადამიანმა დაუნგრია ჯეინს ცხოვრება, ის ლამაზი და ბავშვური წლები, რომლებიც თითოეული ინ-

დივიდის განუყრელი მეგობარია. მან 20 წლის ჯეინი მიწასთან გაასწორა. მასთან სექსუალური კავშირის დამყარებისას ყურში მუდმივად ჩაისისინებდა, რომ მსუქანი, უშნო პატარა გოგო იყო, იაფფასიანი სამკაულებითა და უგემოვნო კაბით.

ამ ღამისა და პიროვნების დავიწყებას ჯეინი 5 წლის განმავლობაში ცდილობდა, თუმცა სწორედ იმ საშინელ დღეს ჩაისახა ზიგი, უსაყვარლესი ბიჭუნა, რომელიც დედამ პირივის საჯარო სკოლაში შეიყვანა და იმედოვნებდა, რომ მისი სიმშვიდითა და სიბეჯითით ყველას მოხიბლავდა, თუმცა მოვლენები წარმოუდგენელად განვითარდა...

პირივის საჯარო სკოლა, რომლის ლოზუნგიც ამგვარად ჟღერდა: „...სკოლაში არავის ჩაგრავენ, ჩვენ არ ვეგუებით ჩაგვრას, ჩვენ ხელს არ ვაფარებთ ჩაგვრას...“ ა.შ და ა.შ. როგორც ჩანს, ეს უბრალო შეძახილი აღმოჩნდა, რადგან სკოლის პირველივე დღიდან ზიგის დასდეს ბრალი ამბებლას ბულინგში. მასწავლებელიცა და მშობლებიც სრულ გაურკვევლობაში იყვნენ, არაფერი რომ ვთქვა ჯეინზე, რომელმაც იეჭვა, იქნებ გენებმა უყივლა და მამამისს დაემსგავსაო, თუმცა ყველაფერი სხვაგარად იყო.

გარდა ჯეინის რთული ცხოვრებისა, ამ რომანში ყურადღებას იპყრობს სელესტი და მისი არაჩვეულებრივი, თითოთი საჩვენებელი ოჯახი. პერი, სელესტის ქმარი, შრომისმოყვარე კაცია, რომელსაც უყვარს თავისი ოჯახი. ბუნებრივია, რომ ყველა დადებით მოვლენას თან სდევს უარყოფითიც. ამ შემთხვევაში კი სავალალოა ის ფაქტი, რომ პერი სელესტზე ძალადობს, ბინძურ სი-

ტყეებს პირშივე ახლის, თუმცა, ამასთან ერთად, სიყვარულსაც ეფიცება. სწორედ მას დაემსგავსა ერთ-ერთი შვილი, ტყუპისცალი - მაქსი. დიახ, დიახ, სწორედ ის ჩაგრავედა ამბებლას და ამასთანავე აიძულებდა ზიგის, რომ ეს დანაშაული საკუთარ თავზე აეღო. პერი დიდ საიდუმლოს ინახავდა. ის ერთ ღამეს ჯეინს მისი დეიდაშვილის, საქსონ ბენკსის, სახელით გაეცნო და ცხოვრებაც დაუნგრია...

რომანს კიდევ ჰყავს ბრჭყვიალა, ღამაზი, 40 წლის გმირი, მედლინი, რომელიც მეორედაა გათხოვილი, პირველი ქორწინებიდან კი 14 წლის აბიგაილი ჰყავს, თავქარიანი გოგონა, რომელიც ერთ დღესაც საშინელ ამბავში ეხვევა. მიუხედავად ასეთი არეულობისა, მედლინი მუდამ ინარჩუნებს პოზიტიურ განწყობას და სელესტისა და ჯეინის ერთგული მეგობარია, განურჩევლად უყვარს ორივე. სამაგიეროდ არ მოსწონს და ვერ უგებს პირველი ქმრის ცოლს, ბონის, ქალს, რომელსაც ზემოაღნიშნული საიდუმლოს გამომჟღავნებისას გაახსენდა მამა, რომელიც დედამისზე ძალადობდა, ამიტომაც სასიკვდილოდ გაიმეტა პერი. ის არ შეუშინდა სასჯელს და პოლიციაში სიმართლეც აღიარა.

აქ დამთავრდა ქალების ტრაგიკული ცხოვრება. ამბავი პატარა, საშიშ ტყუილებზე, რომლებითაც ყოველდღიურად ვსაზრდოობთ.

ავტორმა დაგვანახა იმ მშიშარა კაცების ფსიქიკა, რომლებიც ქალებზე ძალადობენ.

რომანის დაწერას საფუძველი ჩაეყარა მაშინ, როდესაც ლიან მორეარტმა რადიოთი მოისმინა ქალის

ინტერვიუ, რომელმაც მშობლების ძალადობრივი ურთიერთობის შესახებ ისაუბრა.

და ბოლოს, დღითიღვე ვრწმუნდები იმაში, რომ არ არსებობს ქვეყნად ისეთი ტკივილი, რასთან გამკლავებაც ქალებს არ შეგვიძლია. ყველაზე ხშირად ძალადობის მსხვერპლი მდებრობითი სქესის წარმომადგენლები არიან. ისინი ცდილობენ, რომ დიდი პატარა ტყუილებისგან თავი შორს დაიჭირონ და ჯეინის თქმით, ეს სწორედ იმიტომ, რომ „ტყუილები ცხოვრებას ართულებს“.

პს: კიდევ ერთხელ ვუხდი მარი კორინთელს მადლობას ასეთი საოცარი თარგმანისთვის.



იენ მაკიუნე

მონანიება

მთარგმნელი:
ანა აბულაშვილიბაკურ სულაკაურის
გამომცემლობა

იენ მაკიუნე, რომელსაც ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ბრიტანელ ავტორად მიიჩნევენ, მსოფლიომ პირველად „ცემენტის ბალით“ გაიცნო. მართალია, ოცდათექვსმეტი წლის დაგვიანებით, მაგრამ 2014 წელს ქართულ ენაზეც პირველად მისი შემოქმედებიდან ეს რომანი ითარგმნა და მეც მაშინ ჯერ კიდევ თინეიჯერმა მის შესახებ ამ წიგნით გავიგე. წიგნს სხვა წიგნი მოსდევს და წლებთან ერთად შეიძლება სულ გადაგავიწყდეს ზოგიერთი მათგანი, თუნდაც თავის დროზე ძალიან აღფრთოვანებულიყავი მისით, თუმცა „ცემენტის ბალი“ ის რომანია, რომელიც შენი საყვარელი წიგნი შეიძლება ვერ გახდეს, მაგრამ ერთხელ წაკითხვის შემდეგაც გონებიდან ვერ ამოიშლი მასში განვითარებულ ამბებსა თუ იქ გამეფებულ ატმოსფეროს: დღესაც კი ამ რომანზე ფიქრისას მაშინვე უსიამოვნო სუნს ვგრძნობ, სხელი მეძაბება და მგონია, რომ ჩემ გარშემო ყველაფერი გაწეხილია – ჰაერით დაწყებული, ჩემი კანით დამთავრებული. ეს ის შეგრძნებებია, რომლებიც წიგნის კითხვის დროს მქონდა და დღემდე უცვლელად შემორჩა ჩემს მეხსიერებას. ამან მწერლის იმ დიდ ოსტატობაში დამარწმუნა, რომლითაც მოახერხა და ლამის ფიზიკურად განმაცდევინა წიგნში აღწერილი მოვლენები. ამიტომაც მისი მორიგი წიგნის ქართულ თარგმანს მოუთმენლად ველოდებოდი.

იენ მაკიუნის ზემოთ ხსენებული პირველი წიგნისგან განსხვავებით, „მონანიება“ გაცილებით უფრო სქელტანიანი რომანია, რამაც შეიძლება ნაკლებად მონდომებული ან ოდნავ ზარმაცი მკითხველი დააფრთხოს. ამ ტიპის მკითხველი არც შეცდება: წიგნის პირველ ნაწილში ნაკლებად შეხვდებით დაძაბულ სიუჟეტს, დამინტრიგებელ პერსონაჟებსა თუ ამბის განვითარების სწრაფ ტემპს, რამაც კითხვის პროცესი ბევრისთვის შეიძლება მოსაწყენი გახადოს.

თუმცა თხრობის ამ დუნე ტემპში მწერლის იმაზე დიდი ჩანაფიქრი იმალება, ვიდრე უბრალოდ კვანძის შეკვრამდე შესავლის დეტალურად გადმოცემა: რომანის სიუჟეტი XX საუკუნის 30-იანი წლებიდან ვითარდება, იენ მაკიუნმა კი მოახერხა და XXI საუკუნის გარიჟრაჟზე, 2001 წელს მოგვიყვა ეს ამბავი ისე, როგორც ამას სწორედ იმ პერიოდის მწერალი გააკეთებდა.

უფრო გასაგებად რომ ვთქვა, კითხვის განმავლობაში ყოველი აზრაციდან აზრაცამდე იმის შეგრძნება მქონდა, რომ არა პოსტმოდერნულ რომანს, არამედ მოდერნიზმის თვალსაჩინო ნიმუშს ვკითხულობდი; ეს წიგნი არა იენ მაკიუნის, არამედ ვირჯინია ვულფის უნდა ყოფილიყო: „გზა შუქურისკენ“ თუ წაგიკითხავთ, მარტივად მიხვდებით - ლამის კინემატოგრაფიული სიზუსტით ყოველი დეტალი ისეა აღწერილი, რომ პერსონაჟებთან ერთად გრძნობ მზის მწველი სინათლისგან გამოწვეულ თავის ტკივილს, სახლის მოძველებული შპალერის სუნსა და ვახშმისთვის გაპრიალებული ვერცხლის დანაჩანგლის ბრწყინვალეობას. მწერალი ენას ისე სრულყოფილად ფლობს და ყოველ წინადადებას ისე გამოზომილად აწვდის მკითხველს, რომ მასში გაბნეული სიტყვების კბილებს შორის მოქცევა და სათითაოდ დაგეგმონება შეგიძლია.

ასეთი რამ სხვა ინგლისელ მწერალსაც გაუკეთებია: ჯონ ფაულზმა თავისი „ფრანგი ლეიტენანტის საყვარლით“ სცადა ვიქტორიანული ეპოქა იმ პერიოდისვე ლიტერატურული სტილით გაეცოცხლებინა და ამავდროულად პოსტმოდერნული ირონია არ დაევიწყებინა. ასე იქცევა იენ მაკიუნიც, როცა წიგნის ერთ-ერთ ეპიზოდში თავისივე წერის სტილს მეორეხარისხოვან პერსონაჟს აკრიტიკებინებს.

„მონანიება“ ოთხ ნაწილადაა დაყოფილი და ხსენებული თხრობის აუჩ-

ქარებელი ტემპის მიუხედავად, უკვე პირველივე ნაწილის ბოლოს სუნთქვა გეკერის მასში დატრიალებული ამბების გამო: როგორ დაუნგრევს მოზარდი გოგონა ადამიანებს მთელ ცხოვრებას მხოლოდ იმის გამო, რომ სიყვარულით გაერთიანებული წყვილის სექსს ძალადობად მიიჩნევს. როცა ამ ეპიზოდს ვკითხულობდი, ქართულ მედიაში აქტიურად განიხილავდნენ სექსუალური განათლების ავკარგიანობას, ხოლო მოსახლეობის ნაწილი სიკვდილით ემუქრებოდა მას, ვისაც ბავშვებისთვის საჭირო ცოდნის მიწოდება სურდა. ამის გამო წიგნის ეს მონაკვეთი ერთიორად ემოციური გამოდგა ჩემთვის და მომინდა, როგორღაც რუპორი მეშოვა, ქუჩაში გამოვსულიყავი და ხმამაღლა წამეკითხა ყველასთვის ეს რომანი, რათა ამჯერად მაინც ენახათ რამდენად საზიანოა ცოდნის ნაკლებობა, არასწორი წარმოდგენები და მათგან გამოწვეული უნებლიე აკვირებები.

წიგნის შემდეგი ნაწილი სულ სხვა პერპექტივიდანაა მოთხრობილი: ამჯერად მწერალი დეტალურად და შეულამაზებლად აღწერს მეორე მსოფლიო ომის საშინელებებს, რომლის ქარცეცხლშიც მკითხველისთვის უკვე ნაცნობი პერსონაჟები გაეხვევიან. მიუხედავად ამისა, კითხვისას ომის ძალადობრიობაზე მეტად ის გადარდებს, რომ წიგნის გმირებმა როგორმე მოახერხონ და მათგან დამოუკიდებლად გამოწვეულ ამ კატასტროფას გადაურჩნენ მხოლოდ ერთი მიზნისთვის: მათ ცხოვრებაში მანამდე დატრიალებულ უსამართლობას რომ პასუხი გასცენ. თუნდაც შურძიების მწველი სიამოვნების მისაღებად.

შურისძიებაა ის მუხტი, რომლითაც მთლიანად ივსები კითხვის პროცესში. შურისძიება თუ არა, სამართლიანობის აღდგენის სურვილი წიგნის კითხვას შეუწყვეტილად გაიძულებს და უფრო გაზიზღებას იმ

ერთადერთ პერსონაჟს, რომელმაც უდანაშაულო ადამიანების ცხოვრება დაანგრია. აი, სწორედ ამ დროს იწყება რომანის მესამე ნაწილი და იენ მაკიუნი კიდევ ერთხელ სევდიანად ულიმის მკითხველს: მთავარი ანტაგონისტი, რომელიც ყოველი გვერდის გადაფურცვლასთან ერთად უფრო და უფრო გძულდა, ისევე შეგეცოდება, როგორც დანარჩენები. მეტიც - კიდევ უფრო მოგიკვდება გული მასზე და საკუთარ თავზეც, რადგან რაა იმ ადამიანზე მეტად საწყალობელი, ვიდრე ის, ვინც მთელი არსებით ნანობს თავის დანაშაულს, მაგრამ გამოსწორება უკვე აღარ შეუძლია. შენ კი, ნებიერა მკითხველი, რომელსაც მორალური პრინციპების ერთგული და კეთილშობილი ადამიანი გეგონა თავი, აქამდე ეჭვ-შეუტანლად კიცხავდი მას.

არ ვიცი რაღას უნდა ელოდეს ამდენი ურთიერთგამომრიცხავი ემოციების შემდეგ რიგითი მკითხველი ერთი რომანისგან, მაგრამ იმას ნამდვილად ვერ წამოვიდგენდი, რაც მის ფინალში, წიგნის მეოთხე ნაწილში მოხდა. სულ რამდენიმე გვერდიანმა ეპილოგმა არა მხოლოდ მანამდე მოთხრობილი მთელი ისტორია, არამედ ყველა ჩემი წარმოდგენა, ემოცია თუ შთაბეჭდილება თავდაყირა დააყენა. ეს წიგნი მხოლოდ ვიდაცის სინანულის ცრემლებზე ან გულის მომკვლელ აღსარებაზე არ გეგონეთ. ეს წიგნი ლიტერატურის უსაზღვრო ძალაზეა, რაშიც მისი ფინალი დაგარწმუნებთ: როგორ შეგვიძლია ჩავძვრეთ სხვა ადამიანების ტყავში, მათი ცხოვრება გამოვიაროთ, მათი თვალებით დავინახოთ, უკეთესად გავუგოთ და მეტიც - თუ მოვინდომებით, მათი ბედისწერაც კი შევცვალოთ. თუნდაც მხოლოდ წიგნის ფურცლებზე და მხოლოდ საკუთარი თავისთვის პატიების შესაძლებლობის მისაცემად, რათა ოდნავ მაინც შევიმსუბუქოთ სინანულით საკაც ცხოვრება.

მათემატიკოსის ფანტაზია: საოუღრავი და კოლაქტიური ინტელექტი

ანა მაისურაძე



ვერნორ ვინჯი

ცეცხლი უფსკრულზე

მთარგმნელი:

არჩილ რაჭველი

გამომცემლობა „პალიტრა-L“

ვერნორ ვინჯი (Vernor Vinge) ამერიკელი მეცნიერია, რომელმაც შეისწავლა მათემატიკა და კომპიუტერული მეცნიერება. შემდეგ კი დაიწყო მუშაობა სან-დიეგოს უნივერსიტეტში, სადაც იკვლევს დროისა და სივრცის სინგულარობას. ჩვენთვის, მკითხველებისთვის, იმითაა განსაკუთრებით საინტერესო, რომ სამეცნიერო მუშაობის პარალელურად, წერს სამეცნიერო ფანტასტიკის ჟანრის ლიტერატურას და საკმაოდ წარმატებულადაც. მას აქვს მოპოვებული „ჰიუგოს“, „პრომეთეს“ და „ლოკუსის“ არაერთი ჯოლდო, სხვადასხვა ნაწარმოებისთვის. სწორედ მან ჩამოაყალიბა ტექნოლოგიური სინგულარობის კონცეფცია (მომავლის კონკრეტული წერტილი, როდესაც ტექნოლოგიური განვითარება ხდება შეუქცევადი და უკონტროლო, რაც წარმოუდგენელ ცვლილებებს იწვევს ადამიანურ ცივილიზაციაში) და სავარაუდოდ ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც წარმოგვიდგინა წარმოსახვითი „კიბერსივრცე“.

„ცეცხლი უფსკრულზე“ (A Fire Upon The Deep) სწორედ ტექნოლოგიური სინგულარობით გამოწვეულ ერთგვარ აპოკალიფსს გვიხატავს. ადამიანები ქმნიან ხელოვნურ ინტელექტს, მანკიერებას, რომელიც ხდება უკონტროლო და გამანადგურებელი. ადამიანებმა შეძლეს მის შეჩერება, შორეულ წარსულში, თუმცა მომავალში, ადამიანთა პატარა ჯგუფი, მიტოვებული ლაბორატორიის კვლევისას, ახერხებს პანდორას ყუთის გახსნას და მანკიერების – ბოროტი ხელოვნური ინტელექტის სამყაროში გაშვებას. რაც მათ და უამრავ სხვა ცივილიზაციას ძალიან ძვირი დაუჯდება. ვინჯი ისე უბრალოდ აღწერს მთელ ამ საშინელებას, რომ ცოტა არ იყოს რთულია გენოციდის მაშტაბების აღქმა. ალბათ ამ კოსმოსური სივრცეების აღქმას ისიც

ართულებს, რომ ფიზიკის არმცოდნე ადამიანისთვის ცოტა რთული გასაგებია, თუნდაც ის თუ გალაქტიკის სხვადასხვა ნაწილში, რატომ მუშაობს ტექნიკა სხვადასხვანაირად და ა.შ. სხვათაშორის, გალაქტიკის აგებულებაა პირველი რასაც ვხედავთ რომანში. სწორედ ამ ზონების თავისებურება თამაშობს გაამწვევტროლს სიცოცხლისათვის ბრძოლაში. თითოეული ზონა, თავისი პირობებით განსხვავებულ ცივილიზაციებს ბადებს. რაც უფრო ახლო ვარსკვლავური სისტემა გალაქტიკის ცენტრთან, მით უფრო პრიმიტიულია მასზე არსებული ცივილიზაციები, ხოლო გალაქტიკის გარე რეალზე ცივილიზაციები ფაქტიურად, ღმერთებს უტოლდებიან და ხშირად, არც ანაღვლებთ მათზე დაბლა მდგომი ცივილიზაციების ბედი. თუმცა სწორედ ერთი შეხედვით პრიმიტიულ ცივილიზაციაზე აღმოჩნდება წამალი მანკიერების წინააღმდეგ.

ზონების მნიშვნელობაზე ისიც მეტყველებს, რომ ტრილოგიასაც, რომლის პირველ წიგნსაც „ცეცხლი უფსკრულზე“ წარმოადგენს, „ფიქრის ზონები“ ჰქვია. ტრილოგიის დანარჩენი წიგნებია „უფსკრული ცაში“ და „ცის შვილები“, რომელთა ქართულად წაკითხვის დიდი იმედი მაქვს. პირველი წიგნის დასასრული ნამდვილად გიჩენს ინტერესს რომ დანარჩენი ნაწილებიც წაკითხო.

ნაწარმოებში რამდენიმე სიუჟეტური ხაზია. თხრობა საინტერესო და ჩამოთრევია. კითხულობ და პერსონაჟებთან ერთად განიცდი თითოეულ მარცხს და გაბედნიერებას გამარჯვება. მოქმედება რამდენიმე პლანეტასა და სხვადასხვა რასებს შორის ხდება. ზოგიერთი სახეობა ნამდვილად ორიგინალური და ავთენტურია.

რომანში წარმოდგენილია შემდეგი ინტელექტუალური არსებები: ადამიანები. ძირითადად ადამიანთა ჩრდილოელ შთამომავლებს წარმოადგენენ და საუბრობენ ენაზე, რომელიც ნორვეგიულიდან არის წარმომდგარი. მანკიერება (Blight) უძველესი, ადამიანების მიერ შექმნილი ხელოვნური ზეინტელექტი, იგი ბოროტია. იოლად მანიპულირებს ექნოლოგიებითა და ორგანული არსებებითაც. იპყრობენ სხვებს და ვრცელდებიან. დიროკიმები (Dirokimes) ადამიანებზე ძველი რასა, რომლების მათ მოსვლამდე ცხოვროფდნენ სიანდრა-ქეზე. კალირები (Kalir) ინსექტოიდური ჰუმანოიდები, რომლებიც ვრსინიმის ორგანიზაციამი მთავარ რასას წარმოადგენენ. ვრსინიმი დიდი კორპორაციაა, რომელიც მართავს ინფორმაციას: გადამუშავება, გაგზავნა, მიღება და ა.შ. აფრაჰანტები (Aprahanti) პეპლისმაგვარი, ფერადფრთიანი ჰუმანოიდები, რომლებიც, ზღაპრული და უწყინარი შესახედაობის მიუხედავად ძალიან სასტიკი და მეომარი რასაა, რომლების მანკიერების მიერ დამყარებული ქაოსით სარგებლობენ და დაკარგული ჰეგემონიის აღდგენას ცდილობენ.

თუმცა ჩემი ფავორიტი ორი რასა მინდა ცალკე გამოვყო და ისე გააცნოთ.

ხროვები (Tines) კოლექტიური გონის მქონე ძაღლისმაგვარი არსებები. თითოეულის პერსონა 4-8 ელემენტს აერთიანებს. ლეკვობიდან იწვრთნებიან და ერთიანი ორგანიზმივით ფიქრსა და მოქმედებას სწავლობენ. შეუძლიათ გარდაცვლილი ელემენტები ახლით ჩაანაცვლონ და ამის საშუალებით, ზოგჯერ ასწლეულები ცოცხლობენ. ისინი არცთუ მშვიდობისმოყვარე არსებები არიან. პირველივე გამოჩენისთანავე, ისინი თავს ესხმიან ადამიანთა ხომალდს და ხოცავენ ხალხს. ეს ორ ბანაკად გაყოფილი არსებები ერთმანეთს არ ინდობენ. ერთმანეთთან წინააღმდეგ ბრძოლაში, არ ერიდებიან

წამებითა და სასტიკი მეთოდებით ახალი ჯიშების გამოყვანას, უნიკალური მკვლელი ხროვების შექმნას. ხოცვა-ჟლეტას გადარჩენილი ჯოანა ასე აღწერს მათ: “თავდაპირველად ჯოანამ იფიქრა, რომ საქმე ძაღლებთან ანდა მგლებთან ჰქონდა. თუმცა, სინამდვილეში ეს არსებები არც ერთნი იყვნენ და არც მეორე. დიან მათ ოთხი ვიქრო ფეხი და წამახული ყურები ჰქონდათ, მაგრამ გრძელი კისრითა და წითელი თვალებით ისინი შეიძლება უზარმაზარ ვირთხებად აღგვეკათ.”

მიუხედავად ერთმანეთისადმი გამოჩენილი სისასტიკის, ცბიერებისა და ვერაგობისა, ამ არსებებს დიდი ინტელექტუალური პოტენციალი აქვთ. ნიჭიერი და მოხერხებული რასაა. ძალიან ადვილად უღებენ ალღოს ადამიანურ ტექნოლოგიებს. მათი ერთ-ერთი ბელადი კი მეჩუქურთმეა, ხელოვანი და არქიტექტორია. ერთადერთი დაბრკოლება, რაც მეტ-ნაკლებად ხელს უშლით თითების არქონაა. ადამიანის ნაშეერთან დამეგობრებული ახალგაზრდა ხროვა, ამდი კი გვაჩვენებს, რომ სისასტიკე და დაუნდობლობა უფრო წვრთნის შედეგია, ვიდრე თანდაყოლილი თვისება. ადამიანებთან ურთიერთობისას ისინი ძალიან გვანან დედამიწაზე მცხოვრებ ძაღლებს. რომანის გამორჩეული ხროვები სწორედ ერთ-ერთი ლიდერი მეჩუქურთმე, ყარიბი ჯეკერამეფანი და ტირატექტი არიან, რომელიც თავის თავში გამწმენდის ბოროტ ელემენტს ებრძვის. მისი ეს ბრძოლა პიროვნულ გაორებას ჰგავს, და ძალიან საინტერესოა.

სხვათაშორის, ვერნორ ვინჯს სურდა რომანისთვის დაერქმია “ხროვებს შორის” (“Among the Tines”), თუმცა რედაქტორმა გადააფიქრებინა.

სკროდრაიდერები (Skroders/Riders/Skroderiders) მცენარისმაგვარი არსება, ტოტებით, რომლებსაც ემოციების გამოსახატად იყენებს. ბუნებაში, ოდესღაც სკროდრაიდერები

ოკეანის ფსკერზე, უძრავად მყოფი არსებები არიან, რომლებსაც ხანმოკლე მესხიერებაც კი არ გააჩნდათ, თუმცა 5 მილიარდი წლის წინ, ვილაცამ ისინი ბორბლებიანი, მექანიკური საშუალებით აღჭურვა, ისევე როგორც, ხანმოკლე მესხიერების ქონის უნარით. რის შემდეგაც, სკროდრაიდერებმა ხელი ვაჭრობას მიჰყვეს. აი, როგორ გვიხატავს მათ ავტორი: “მოჟღურტულე არსება ექვსთვლიან ურიკაზე მდგარ პატარა, დეკორატიულ ხეს წააგავდა. ურიკა კოსმეტიკური ზოლებითა და ფუნჯებით იყო მორთული და მის 150X120 სანტომეტრი ფართობის მქონე ზედაპირზე იგივე ემზლება იყო გამოსახული, რაც დროშაზე. არსება დიდი სკროდრაიდერი იყო, რომლის რასა თითქმის მთელ შუამილმეთში ვაჭრობდა. სიანდრა-ქეის ჩათვლით. სკროდრაიდერის მჭახე, უღურტულა ხმა ავტომატური თარჯიმნიდან მოდიოდა.”

ვალდარებ, სწორედ ამ არსებამ დაიპყრო ჩემი გული. “ლურჯი ნიჟარა” (ასე ჰქვია წიგნის მთავარ სკროდრაიდერ პერსონაჟს) ჩემი ერთ-ერთი უსაყვარლესი პერსონაჟია, ყველა წიგნს შორის რაც კი წამიკითხავს. მე იშვიათად მიყვარდება პერსონაჟები. “ლურჯი ნიჟარა”, სწორედ ის ასეთი იშვიათ შემთხვევათაგანია. ძალიან ბედნიერი ვიქნებოდი მისნაირი მეგობრის ყოლით და მიუხედავად იმისა, რომ ოთახის მცენარე ორჯერ გაეახზე (თან ერთი და იგივე მცენარე) “ლურჯი ნიჟარა” აუცილებლად მოვუვლიდი. არ მოვყვები მთელ იმ ამბებს რაც ამ საოცარი არსების თავს ხდება წიგნში, არ მინდა სპოილერი გამომივიდეს, თუმცა იგი ამტკიცებს, რომ სიკეთე, მეგობრობა და თავდადება, პირველ რიგში არჩევანია და ნებისმიერ არსებას შეუძლია წინ აღუდგეს მასში კოდირებულ ბრძანებებსა თუ ინსტინქტებს.

ყველა ფანტასტიკის მოყვარულს ვურჩევ წაიკითხოს ეს საოცარი წიგნი.



საქართველოს წიგნის გამომცემელთა
და გამავრცელებელთა ასოციაცია
GEORGIAN PUBLISHERS AND BOOKSELLERS ASSOCIATION



საპარტევლოს განათლების,
მცნობის, კულტურისა და
სპორტის სამინისტრო



თბილისის მერია



ქართული წიგნის
ეროვნული ცენტრი



თიბისი

მედიამარკეტინგები

PRIME
Time

ლიბრა